პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

№ 239 (5340) | ორშაბათი, 17 ოქტომბერი 1938 წ. | ფასი 10 კაპ.

დღეს გაზეთში:
[illegible]
გმირი მფრინავი ქალები ხაბაროვსკს წავიდნენ (1-ლი გვ.)
სასოფლო - სამეურნეო აკადემიის სუბტროპიკულ კულტურათა სექციის პლენუმი (1-ლი გვ.)
თავდაცვა - ავიაქიმის მე-5 სრულიად-საკავშირო ქიმიური შეჯიბრება (მე-2 გვ.)
მასალები მომხსენებელთათვის. ლენინურ - სტალინური კომკავშირის XX წლისთავისათვის (მე-3 გვ.)
[illegible]

# რკინიგზელებო, სავსებით მომზადებული შეხვდით ზამთარს!

ჩვენ — დიდი სარკინიგზო სახელმწიფო ვართ. პარტია და მთავრობა უდიდეს ყურადღებას აქცევენ რკინიგზის ტრანსპორტის მუშაობას. ამხანაგი სტალინი ამბობდა, რომ ტრანსპორტი უნდა იყოს „მკაფიოდ მომუშავე, წესიერად მომქმედი, საათის კარგი მექანიზმივით ზუსტი კონვეიერი".

სტალინური სახკომის ლაზარე მოისეს-ძე კაგანოვიჩის ხელმძღვანელობით რკინიგზელებმა დიდ წარმატებებს მიაღწიეს. ტრანსპორტზე მავნებლობის შედეგებთან გადამწყვეტმა ბრძოლამ, მუშაობის ახალი კულტურული მეთოდების დანერგვამ, ასობით და ათასობით საუკეთესო რკინიგზელთა დაწინაურებამ ხელმძღვანელ პოსტებზე უაღრესად თვალსაჩინო შედეგები მოგვცა. საბჭოთა ქვეყნის რკინიგზები ყოველდღე 90 ათას ვაგონზე მეტს ტვირთავენ.

მაგრამ რკინიგზელებისათვის უაღრესად საშიში იქნებოდა მიღწეული წარმატებებით დამშვიდება. ბევრი გზა ჯერ კიდევ ვერ ასრულებს დატვირთვის გეგმას. ზოგიერთი გზა, ასრულებს რა გეგმას მთლიანად, არ ასრულებს მას ტვირთების სახეობათა მიხედვით. 57 ჩამორჩენილი დეპო, რომლებზედაც ლაპარაკი იყო სახალხო კომისრის № 231/ც. ბრძანებაში, ძალიან სუსტი ტემპებით აუმჯობესებს თავის მუშაობას. სექტემბერში რკინიგზელებმა დატვირთვის გეგმა მხოლოდ 98,6 პროცენტით შეასრულეს. ამავე დროს ახლოვდება ზამთარი, რომელიც რკინიგზის ტრანსპორტისათვის განსაკუთრებით პასუხსაგებ პერიოდს წარმოადგენს. ზამთრის სიძნელეები რომ გადავლახოთ, საჭიროა თავის დროზე მოვამზადოთ ორთქლმავლები, ვაგონები, ლიანდაგი, სადგურები, კავშირგაბმულობა.

რკინიგზის ტრანსპორტის მუშაობაში ძირითად რგოლს წარმოადგენს საორთქლმავლო პარკი. სახკომის № 231/ც. ბრძანებამ დაავალა იმ დეპოების უფროსებს, რომლებიც ჩამორჩებიან, დააჩქარონ ორთქლმავლების მიმოქცევა, მოაწყონ მგზავრობა რგოლისებური გრაფიკით, გააუმჯობესონ რემონტი.

სამწუხაროდ, ასეთ მიღწევებს ვერ დაიკვეხნის ყველა ის დეპო, რომლებზედაც ლაპარაკი იყო სახკომის ბრძანებაში. ბევრ გზაზე საორთქლმავლო პარკის მდგომარეობა ჯერ კიდევ სრულიადაც ვერ არის დამაკმაყოფილებელი. დეპოებისა და საქარხნო რემონტის ცუდი ხარისხი, ავადმყოფი ორთქლმავლების დიდი რაოდენობა, რემონტის ცუდი ორგანიზაცია, გრაფიკის შეუსრულებლობა, სუსტი დისციპლინა ცუდად მომზადებულს ხდიან ამ გზებს მომავალი შემოდგომა - ზამთრის პერიოდის წინაშე.

ზამთრის სიძნელეებთან ბრძოლაში დიდი სამუშაო მოელით მელიანდაგეებს. ამავე დროს ციმბირის გზებზე პირველი თოვლის გაკვეთილებმა ცხადჰყვეს, რომ ზოგიერთი სადგური მოუმზადებელია ზამთრისათვის. მაგალითად, ჩერემხოვოს სადგურზე მელიანდაგეთა უდისციპლინობის გამო, რომლებმაც ვერ უზრუნველჰყვეს ლიანდაგების გაწმენდა თოვლისაგან, 9 ოქტომბერს შეჩერებულ იქნა 7 მატარებელი. ლიანდაგის დისტანციის უფროსმა ამხ. მანდრიკინმა დანაშაულებრივი უდარდელობა გამოიჩინა.

გამოიყენონ ზამთრამდე დარჩენილი ყოველი დღე ლიანდაგების დასამთავრებლად, დაუპირისპირონ თოვლსა და ქარბუქს თოვლდაცვის მძლავრი და ორგანიზებული ხაზი — ეს არის მელიანდაგეების წმინდათა-წმინდა მოვალეობა.

იქ, სადაც რკინიგზელებმა შეიგნეს, რომ საჭიროა მუშაობის გაუმჯობესება უმოკლეს ვადაში, სადაც მობილიზებულია მთელი ძალები და სახსრები, — იქ შედეგი უკვე გვაქვს. ამას წინათ, მაგალითად, სახალხო კომისარმა სპეციალური ბრძანებით აღნიშნა იაროსლავლის რკინიგზის ვსპოლიეს სადგურის არადამაკმაყოფილებელი მუშაობა. სადგურის კოლექტივმა ბოლშევიკურად შეითვისა მისთვის მიცემული გაკვეთილი და დიდი ენერგიით მოჰკიდა ხელი მდგომარეობის გამოსწორებას. შედეგი: შემცირდა ავადმყოფი ვაგონების პარკი, სანიმუშოდ იწყეს მუშაობა სამანევრო დისპეტჩერთა—მაოკეიჩევის, კოშელევის, სამოუჩინკოვის, გავრილოვის ცვლებმა, მატარებელთა შემდგენლებმა შილოვმა და ტრეგუბოვმა იწყეს დავალების ერთიორად გადამეტება, გაძლიერდა თვითეული მუშაკის პასუხისმგებლობის გრძნობა.

მოძრაობის ორგანიზაცია ჯერ კიდევ ყველგან როდი დგას სათანადო სიმაღლეზე. ისეთი მნიშვნელოვანი გზა, როგორიცაა კაგანოვიჩის სახელობის გზა, სისტემატურად არღვევს მატარებელთა ფორმირების გეგმას, არ აწარმოებს ბრძოლას იმისათვის, რათა მატარებლები გრაფიკის მიხედვით გავიდნენ. ვოროშილოვის სახელობის გზაზე მთელი რიგი საშუალედო სადგურები ვაგონებით არის გაჭედილი. ისეთი გზები, როგორიც არის კუიბიშევის სახელობის, რიაზან-ურალის, ყაზანის, აღმოსავლეთ - ციმბირისა, სისტემატურად არ ასრულებენ გეგმას უმნიშვნელოვანესი მაჩვენებლების მიხედვით.

უმნიშვნელოვანესი კვანძები — ლიხაია, ლისკი, პენზა, ხაბაროვსკი, კუიბიშევი, იუდინო, არისი, სარატოვი, სვერდლოვსკი—შეფერხებით მუშაობენ.

ეს მდგომარეობა ყოვლად შეუწყნარებელია. გზების უფროსები მოვალენი არიან უმოკლეს ვადაში გამოასწორონ გადამწყვეტი კვანძების მუშაობა, ვინაიდან მათზეა დამოკიდებული დატვირთვის გეგმის მთლიანად შესრულება.

ზამთრისათვის მზადების პროგრამა ამომწურავად არის მოცემული სახალხო კომისრის № 231/ც. ბრძანებაში. 15 სექტემბერს გამოცემულ იქნა ბრძანება № 275/ც. გზათა სახალხო კომისარიატის საორთქლმავლო მეურნეობის ცენტრალური სამმართველოს და გზების საორთქლმავლო დარგების, საორთქლმავლო განყოფილებებისა და დეპოების მუშაობის შესახებ. ზამთრამდე სულ ცოტა დრო დარჩა. საჭიროა თვითეული პუნქტის მიხედვით შევამოწმოთ ამ უმნიშვნელოვანეს ბრძანებათა შესრულება რკინიგზის ტრანსპორტის ყველა რგოლში და სავსებით მოვახდინოთ მათი რეალიზაცია.

ტრანსპორტს ყველა პირობა აქვს იმისათვის, რათა იმუშაოს ისე, როგორც ამას ქვეყნის ინტერესები მოითხოვენ. აშენებულია რკინიგზის ახალი ხაზები, წინანდელი სუსტი ორთქლმავლების ნაცვლად რკინიგზის ტრანსპორტმა მიიღო ათასობით ახალი მძლავრი ლოკომოტივები, სავაგონო პარკი შევსებულია დიდტვირთტევადი ვაგონებით, მთელი სასაქონლო მოძრაობა გადაყვანილია ავტომატურ დამუხრუჭებაზე, შექმნილია ვაგონების მძლავრი სარემონტო ბაზა, სალიანდაგო მეურნეობამ მდიდარი ტექნიკური შეიარაღება მიიღო.

ტრანსპორტზე გამოიზარდნენ შესანიშნავი ადამიანები. ტროცკისტულ - ბუხარინული მავნებლური, ჯაშუშური ხროვის ლიკვიდაციამ გზა გაუკაფა რკინიგზის ტრანსპორტის ტალანტიან, ნიჭიერ მუშაკებს ზრდისათვის, შემდგომი წინსვლისათვის. უმაღლეს ხელმძღვანელ პოსტებზე დაწინაურდნენ სტახანოვური მოძრაობის ინიციატორები ტრანსპორტზე — კრივონოსი, ოგნევი, ზაკორკო, ბოგდანოვი, მაკაროვი. რკინიგზელთა მასებიდან დაწინაურდნენ მუშაობის სტახანოვურ-კრივონოსული მეთოდების ახალი მოწინავე მუშაკები. კრივონოსელ მემანქანეებს კლიმოვს, პილიპენკოს, პოზდნიაკოვს ტექნიკური სიჩქარის ნორმების მნიშვნელოვანი გადამეტებით დაჰყავთ მძიმე წონის მატარებლები. პეტელინი, ფედოროვი, სემიონოვი — რგოლისებური სვლის ენთუზიასტები — მაგალითის მიმცემნი არიან ყველა მემანქანისათვის. მატარებელთა შემდგენლები კოჟუხარი, კრასნოვი, ილენკო თავის დარგში გვიჩვენებენ კულტურული მუშაობის ნიმუშს. წინასაოქტომბრო შეჯიბრება ყოველდღიურად აწინაურებს ახალ და ახალ სტახანოველებს — კრივონოსელებს.

ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ რკინიგზის ტრანსპორტის ხელმძღვანელი, წამყვანი მუშაკები შეაიარაღოთ ბოლშევიზმით, აღვზარდოთ ისინი პოლიტიკურად, ავამაღლოთ მათი კულტურული დონე. ეს გააფართოებს რკინიგზის არმიის მეთაურთა და მეომართა ჰორიზონტს, ასწავლის მათ სიფხიზლესა და სიმახვილეს, დახმარებას გაუწევს იმ მხრივ, რომ ბოლომდე აღმოფხვრან მტრები, დახმარებას გაუწევს შემდგომ წინსვლას.

ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ ვამრავლოთ მოწინავე რკინიგზელთა გამოცდილება, გავხადოთ იგი ფართო მასების კუთვნილებად, მოვსპოთ რუტინერობა და კონსერვატიზმი, რომლებსაც ჯერ კიდევ აქვთ ადგილი რკინიგზის ტრანსპორტზე. პოლიტგანყოფილებები და პროფკავშირული ორგანიზაციები ვალდებული არიან სათავეში ჩაუდგნენ უდიდეს აღმავლობას რკინიგზელებისას, რომლებიც ცდილობენ ტრანსპორტის მუშაობის გაუმჯობესებას. რკინიგზელთა პოლიტიკური დონის ამაღლება დაუყოვნებლივ მოახდენს გავლენას საერთოსაგანმანათლებლო, ტექნიკური და საწარმოო კულტურის ზრდაზე, ხოლო წარმატების საწინდარი ამაშია!

ამასწინათ ამხანაგმა ლ. მ. კაგანოვიჩმა სპეციალური დეპეშით მიულოცა კურსკის დეპოს მემანქანეებს ამხ. კონდრატიევს, სერდიუკოვს, ლომაკინს, ტაბაჩკოვს, მათ თანაშემწეებსა და ცეცხლფარეშებს, რომ მათ 61 ათას და 66 ათას კილომეტრამდე აიყვანეს გარეცხვათაშორისო გარბენა სათბობის დიდი ეკონომიის დაცვით.

იზრდება სტახანოველ რკინიგზელთა, წარმოების სახელოვან ენტუზიასტთა ოჯახი!

ახალი ტექნიკის ათვისება, ტექნიკური ექსპლუატაციის წესების შესწავლა, გრაფიკის მიხედვით სვლა, ორთქლმავლებისა და ვაგონების რემონტის ხარისხის გაუმჯობესება, მკაცრი საარმიო დისციპლინა, სიფხიზლე ყველგან, ტრანსპორტის ყველა რგოლებში, გადამწყვეტი ბრძოლა დოყლაპიობისა და თავაშვებულობის წინააღმდეგ, სტახანოვურ - კრივონოსული მოძრაობის შემდგომი აღმავლობა — აი ის გზა, რომელიც გადამწყვეტ გამარჯვებამდე მიიყვანს რკინიგზის ტრანსპორტს.

„ჩვენ ვკისრულობთ ვალდებულებას უმაღლეს საფეხურზე ავიყვანოთ ტრანსპორტის მუშაობის კულტურა, — ნათქვამია მოსკოვის რკინიგზელთა იმ 15-ათასიანი კრების მისალმებაში ამხანაგ სტალინისადმი, რომელიც 30 ივლისს შესდგა მწვანე თეატრში, — ბოლშევიკურად ვიბრძოლოთ ორგანიზებულობისა და დისციპლინიანობისათვის, მუშაობის ხარისხის გაუმჯობესებისათვის, ქსელის ყველა გზის მიერ დატვირთვისა და გადმოტვირთვის გეგმის შესრულებისათვის. მომავალი ზამთრისათვის სანიმუშოდ მზადება ყველა რკინიგზელის უპირველეს მოვალეობას წარმოადგენს..."

ეს სიტყვები უნდა აღიბეჭდოს თვითეული რკინიგზელის გულში, შეგნებაში!

ჩვენი ქვეყანა ელის, რომ რკინიგზელთა დიდი არმია სავსებით მომზადებული შეხვდება ზამთარს და მტკიცედ, განუხრელად შეასრულებს დატვირთვის გეგმას.

„პრავდის" მოწინავე, 16/X.

# დღეები ტაიგაში

## მარინა რასკოვას ნაამბობი

რამდენი ფიქრი მოგვიხდა ჩვენ ამ დღეებში იმაზე, თუ სად არის, როგორ გრძნობს თავს მარინა რასკოვა, ჩვენი სახელოვანი გმირი, რომელიც ჭაობიანი ტაიგით თვითმფრინავ „როდინასაკენ" იკვლევდა გზას.

ახლა, როდესაც მღელვარებამ გაიარა, ჩვენ მით უფრო დიდი მოუთმენლობით ველოდით იმ წუთს, როდესაც დავინახავდით მფრინავ ქალებს, შევძლებდით მათს გამოკითხვას და დაწვრილებით გავეცნობოდით მათს ამაღელვებელ ეპოპეას.

და აი, ბოლოს, ეს მომენტი დადგა. ჩვენ საუზმეს ვუსხედვართ კერზში ჩვენს სახელოვან გმირ ქალებთან ერთად. რა თქმა უნდა უხერხულია, რომ მფრინავ ქალებს ვაწუხებთ, მაგრამ მაინც ხარბად და დაწვრილებით ვეკითხებით.

მარინა რასკოვა გვიამბობს:

— ბენზინი გაგვითავდა. რჩება ერთადერთი გამოსავალი—უნდა დავეშვათ. ჩემი საშტურმანო კაბინა წინ არის. დაშვება კი ჭაობზე გვიხდება. დაშვებისას შესაძლო იყო, რომ თვითმფრინავი ყირაზე დამდგარიყო და თავისი სიმძიმით დაემსხვრია კაბინა, და მე კარგი დღე არ დამადგებოდა. გრიზოდუბოვამ მოიფიქრა ყოველივე ეს და მომწერა ბარათი, წინადადება მომცა დაუყოვნებლივ დამეტოვებინა თვითმფრინავი — დავშვებულიყავ პარაშუტით. მე მაშინვე როდი შევასრულე თვითმფრინავის მეთაურის ბრძანება. არ მინდოდა დამეტოვებინა თვითმფრინავი, ჩემი შესანიშნავი მეგობრები.

მივიღე მეორე და მესამე ბარათი. გრიზოდუბოვა მოითხოვდა, რომ მე დაუყოვნებლივ შემესრულებინა ბრძანება. თვითონაც მესმოდა — თვითმფრინავში დარჩენით დაშვებას ვაფერხებდი. უნდა გადავხტე! ავიღე ორი ფილაკი შოკოლადი, მოვათვალიერე ადგილმდებარეობა, შევარჩიე მოხერხებული მოედანი და გავაღე ლიუკი, უკანასკნელად შევავლე თვალი ხელსაწყოებს. თვითმფრინავი 2 ათასი მეტრის სიმაღლეზე იყო. დაბლა დავეშვი. ჩემს თავზე პარაშუტი გაიშალა. მიახლოვდებოდა უცნობი მიწა. ჩემი პარაშუტი ხის წვეროს მოედო. დანა ამოვიღე, სტროპები გადავჭერი და მიწაზე დავეშვი.

თავს სავსებით მშვიდად ვგრძნობდი. ვიცოდი, სადაც დაეშვა თვითმფრინავი, და იმ მიმართულებით წავედი. თვითმფრინავთან გრიზოდუბოვა და ოსიპენკო შაშხანებს ისროდნენ, ამით უნდოდათ დამხმარებოდნენ, რომ გზა გამეკვლია ტაიგაში. მაგრამ სწორედ ამ სროლამ დამაბნია. სროლის გამოძახილი მოპირდაპირე მხარეზე გუგუნით გაისმოდა. მე ეს მივიღე ნამდვილ სროლად და არასწორი მიმართულებით წავედი.

ძნელი სასიარულო იყო—გზა მაინცდამაინც კარგი ვერ იყო. ირგვლივ ჭაობი გადაჭიმულიყო. ფეხქვეშ ნიადაგი ირყოდა. ერთ ადგილას, ნაბიჯი რომ გადავდგი, ვიგრძენი, რომ ვიფლობოდი. ღრმად ჩავეფლე. მაგრამ თან მქონდა ჯოხი და შეიძლება ითქვას, მხოლოდ ამან გადამარჩინა. ეს ჯოხი გავდევი და მასზე დაყრდნობით დავაღწიე თავი ჭაობს.

ახლა ფრთხილად მივდიოდი, ყოველ ნაბიჯს ვშინჯავდი. თვითმფრინავი არ სჩანდა. საჭირო იყო დამეზოგა სურსათი, რომლის მარაგი, როგორც უკვე ვთქვი, ორი ფილაკი შოკოლადისაგან შესდგებოდა.

ეს ფილაკები ნამცეცა ნაწილაკებად დავტეხე და დღეში თითოს ვჭამდი. ვკრეფდი კენკრას და სოკოს. არ შეიძლება ითქვას, რომ ეს ძალიან ნოყიერი საჭმელი იყო, მაგრამ არჩევანი არ მქონდა. ასე ვიკვებებოდი კენკრისა და შოკოლადის მცირე ულუფით!

გზაში დათვები მხვდებოდნენ, როგორცა სჩანს, არცთუ ძალიან ხშირად ხვდებიან ისინი ამ ადგილებში ადამიანს. ერთმა დათვმა რომ დამინახა, შეშინებული გაიქცა. მაგრამ სხვა მხეცები უფრო თამამად იყვნენ. ხშირად ახლოს მესმოდა დათვის ღრიალი. ვერ არის მაინცდამაინც სასიამოვნო მუსიკა!

მხეცებს სროლით ვიგერიებდი. მაგრამ ვაზნებიც მელეოდა. სამი ვაზნა რომ დამრჩა, სროლა შევწყვიტე, უკანასკნელ ვაზნებს მარაგად ვინახავდი.

ასე მისდევდა დღე დღეს. მძიმე მდგომარეობა იყო, მაგრამ არ მეშინოდა, დარწმუნებული ვიყავი, რომ აუცილებლად ვიპოვნიდი თვითმფრინავს. ბოლოსდაბოლოს ხომ არ შეიძლება, შტურმანი იყო და გზა დაეგებნეს!

...5 ოქტომბერი. ტყე გათავდა და მე პატარა მინდორზე გამოვედი. ჯერ კიდევ ტაიგიდან 3 კილომეტრის მანძილზე დავინახე თვითმფრინავ „როდინას" ბოლო. ძნელი ასაწერია ის სიხარული, რომელიც ამ წუთებში განვიცადე.

თვითმფრინავზე მყოფებმა შემამჩნიეს და ჩემსკენ გამოეშურნენ. მხურვალედ გადავეხვიეთ ერთმანეთი. პოლინა ოსიპენკოს სიხარულისაგან ცრემლებიც კი გადმოსცვივდა. „როდინა" სრულ წესრიგში იყო. ჩემს მეგობრებს ოსტატურად მოეხდინათ დაშვება.

თვითმფრინავთან საჭმელი მომცეს და ჩაი დამალევინეს. ბევრს არ მაჭმევდნენ. ექიმი, რომელიც ჯერ კიდევ 4 ოქტომბერს დაეშვა პარაშუტით, თვალყურს ადევნებდა იმას, რომ თითქმის სრული შიმშილობიდან, კენკრის ღარიბული დიეტიდან, ერთბაშად კი არ გადავსულიყავ ნორმალურ კვებაზე, არამედ თანდათანობით. როცა დავნაყრდი, ვუამბე მეგობრებს, თუ როგორ გაიარა ამ დღეებმა, როგორ ვმოგზაურობდი ტაიგაში მარტოდმარტო. ვუთხარი მათ, რომ სავსებით დარწმუნებული ვიყავი—ან მიპოვნიდნენ ან თვითონ გავიკვლევდი გზას.

თვითმფრინავთან ცუდად ვიგრძენი თავი. ფეხები მტკიოდა, სიარული მიჭირდა. შესანიშნავი მზრუნველობით მომეპყრნენ. აქ, ტაიგაში, თითქმის საავადმყოფოს პირობები შემიქმნეს. ძალღონე მემატებოდა ყოველ საათს, ყოველ წუთს, ყოველ ნაბიჯზე, რომელიც მდინარე ამგუნს გვაახლოვებდა.

...ჩვენ ვისმენდით მარინა რასკოვას ნაამბობს და ვამაყობდით ჩვენი სამშობლოთი, რომელმაც აღზარდა გმირი ქალები, პარტიით, რომლის რკინისებურმა სტალინურმა ნებისყოფამ აღაფრთოვანა გრიზოდუბოვა, ოსიპენკო, რასკოვა მათი გმირობისათვის. ვერავინ ვერ სძლევს იმ ქვეყანას, რომელსაც ასეთი ქალიშვილები ჰყავს!

**პერელიგინი**

**საკ. კ. პ. (ბ) კერბის რაიკომის მდივნის მოვალეობის აღმსრულებელი.**

კერბი, 9 ოქტომბერი. (ტელეგრაფით). („პრავდა")



ენგურის ქაღალდის კომბინატი. ბუნკერები.

ფოტო ი. იმედაძისა

# გმირი მფრინავი ქალები ხაბაროვსკს წავიდნენ

**ამურის კომსომოლსკი,** 15 ოქტომბერი (საკდესი). დღეს კომსომოლსკის მშრომელებმა საზეიმო გაცილება მოუწყეს თვითმფრინავ „როდინას" გმირულ ეკიპაჟს.

გემის გასვლის ერთი საათით ადრე საწარმოთა, მშენებლობათა, დაწესებულებათა და სასწავლებელთა დელეგაციებმა თავი მოიყარეს ნავსადგურში. აქ შესდგა მრავალრიცხოვანი მიტინგი.

ქალაქის პარტიული ორგანიზაციისა და კომსომოლსკის ყველა მშრომელთა სახელით გმირ მფრინავ ქალებს ამხ. გრიზოდუბოვას, ოსიპენკოს და რასკოვას მიესალმა პარტიის საქალაქო კომიტეტის მდივანი ამხ. პეგოვი. მანქანათმშენებ[illegible] ლი ქარხნის კოლექტივის სახელით მისალმების სიტყვებით და საუკეთესო სურვილები გადასცა ძვირფას სტუმრებს № 9 საამქროს პარტორგანიზატორმა ამხ. სოსედკომ. ბრწყინვალე სიტყვით გამოვიდა გემსარემონტო ქარხნის სტახანოველი ამხ. სემჩენკო.

— ქარხნის კოლექტივი, — ლაპარაკობს იგი, — გისურვებთ თქვენ მშვიდობით ჩახვიდეთ მოსკოვში — ჩვენი სამშობლოს გულში. გთხოვთ გადასცეთ ჩვენი შორეულ-აღმოსავლური ბოლშევიკური სალამი ჩვენს მთავრობასა და დიდ სტალინს.

ქალაქის საბჭოს თავმჯდომარის მოვალეობის აღმსრულებელი ამხ. ვასინი კომსომოლსკის მშრომელთა სახელით მფრინავ ქალებს უძღვნის კოლოფებს, რომლებზედაც გამოხატულია კავშირის რუკა გადაფრენის მარშრუტით, ლენინისა და სტალინის ბარელიეფები, მამაცი გმირი ქალების — ამხ. გრიზოდუბოვას, ოსიპენკოს და რასკოვას პორტრეტები.

საპასუხო სიტყვით გამოვიდა ამხ. ოსიპენკო. მან ერთხელ კიდევ გადასცა კომსომოლსკის მშრომელებს „როდინას" მთელი ეკიპაჟის მადლობა გულმხურვალე მიღებისათვის [illegible] და თავისი აღტაცება გამოსთქვა საუცხოო ქალაქით, რომელიც აგებულია პარტიის სურვილითა და ამხანაგ სტალინის უახლოესი დახმარებით. ის სიტყვას იძლევა, რომ ვცდასცემს მოსკოვის მშრომელებს და ამხანაგ სტალინს კომსომოლსკელთა სალამს.

დასასრულ ამხ. ოსიპენკო მოუწოდებს კომსომოლსკელებს უკეთ იმუშაონ, უფრო განამტკიცონ ჩვენი ქვეყნის თავდაცვა, აღმოფხვრან მტრების ნაბოლარები.

მიტინგი დამთავრდა „ინტერნაციონალის" საზეიმო ხმებით.

კომსომოლსკის მშრომელებმა დებარკადერამდე გააცილეს მამაცი გმირი ქალები. დიდხანს ესალმებოდნენ შეძახილებით და უსურვებ[illegible] დნენ მათ მშვიდობიან მგზავრობას.

## პოლინა ოსიპენკოს მისალმება თავისი თანამემამულეების — ბერდიანსკის რაიონის კოლმეურნეებისადმი

გულმხურვალედ მოგესალმებით თქვენ შორეული აღმოსავლეთიდან, ახალგაზრდობის ქალაქ კომსომოლსკიდან. ეს შესანიშნავი ქალაქია!

მე უსაზღვროდ ბედნიერი ვარ, რომ წილად მხვდა ბედნიერება შემესრულებინა სტალინური დავალება. კიდევ უკეთ, უფრო მეტად და შეუსვენებლივ ვიმუშავებ, რათა გავამდიდრო ჩვენი მშვენიერი სამშობლო.

სალამით კაპიტანი—

**პოლინა ოსიპენკო**

ამურის კომსომოლსკი, 15 ოქტომბერი.

# სასოფლო-სამეურნეო აკადემიის სუბტროპიკულ კულტურათა სექციის პლენუმი

## 15 ოქტომბრის პირველი სხდომა

### აკადემიკოს ვავილოვის სიტყვა

ლენინის სახელობის სრულიად-საკავშირო სასოფლო - სამეურნეო აკადემიის სუბტროპიკულ კულტურათა სექციის მესამე პლენუმის პირველ სხდომაზე შესავალ სიტყვაში აკადემიკოსმა **ვავილოვმა** განაცხადა: ოქტომბრის დიდმა სოციალისტურმა რევოლუციამ ჩვენი ქვეყნის ძლევამოსილი ძალები დარაზმა ახალი სოციალისტური სამშობლოს მშენებლობისათვის. საბჭოთა ქვეყანა განმტკიცდა და გაძლიერდა. კომუნისტუ[illegible] ლებლობაა, ასეული ათასი ჰექტარები კიდევ შეიძლება ათვისებულ იქნას ძვირფასი კულტურებისათვის.

აკადემიკოსი ვავილოვი დაწვრილებით მოგვითხრობს აკადემიის დაარსებისა და საბჭოთა მეცნიერების ამოცანებზე, ლაპარაკობს დასმული საკითხების მნიშვნელობაზე, 1940 წლისათვის საქართველოში ციტრუსების 20.000 ჰექტარზე აყვანის, ლიმონის კულტურის გავრცელების, სელექციის, ქიმიზაციის, აგროწესების [illegible]

## 16 ოქტომბრის სხდომა

**ბათუმი,** [illegible]

# ყინულმჭრელი „ი. სტალინი" მურმანსკში

(ჩვენი სპეც. კორესპონდენტისაგან)

**მურმანსკი,** 16 ოქტომბერი. არქტიკული ფლოტის ფლაგმანმა — ყინულმჭრელმა „ი. სტალინმა" დაამთავრა თავისი პირველი არქტიკული რეისი. დღეს 15 საათზე ყინულმჭრელი შევიდა მურმანსკის ნავსადგურში, რომელზედაც ის მიწერილია. ყინულმჭრელის კომანდა ამზადებს გემს ლენინგრადში წასასვლელად.

**გ. თვალაძე**

# აჭარის ასს რესპუბლიკამ შეასრულა ჩაის კრეფის წლიური გეგმა

**ბათუმი,** 16 ოქტომბერი (საქდესი). აჭარის ასს რესპუბლიკამ 15 ოქტომბრისათვის შეასრულა ჩაის მწვანე ფოთლის კრეფის წლიური გეგმა. ამ რიცხვისათვის ბათუმისა და ქობულეთის რაიონებში მოკრეფილია 8.059,8 ტონა ჩაის მწვანე ფოთოლი, გეგმით გათვალისწინებული 8.040 ტონის ნაცვლად, გეგმა შესრულებულია 100,2 პროცენტით. ჩაის მწვანე ფოთლის კრეფა გრძელდება.

# შ. ნადირაძის საკავშირო რეკორდი

სტალინის სახელობის ორთქლმავალ-ვაგონსარემონტო ქარხნის შემდუღებელი საამქროს მუშამ, რკინიგზელის საპატიო ნიშნოსანმა, შაქრო ნადირაძემ 14 და 15 ოქტომბერს საორთქლო ცილინდრების შედუღებაში საკავშირო რეკორდი დაამყარა. მან შეადუღა ორთქლმავალ № 708/17-ის მარჯვენა და მარცხენა ცილინდრები, აგრეთვე ორთქლმავალ № 1434-ის მარცხენა და მეოთხე ცილინდრები. მეოთხე ცილინდრი, როგორც უვარგისი გასული იყო ხმარებიდან. ამხ. ნადირაძემ თავისი რეკორდით წარმოებას მისცა დაახლოვებით 10.000 მანეთის ეკონომია.

226 საათისა და 30 წუთის სამუშაო ამხ. ნადირაძემ 17 საათში შეასრულა და ნაცვლად 40 მანეთისა და 42 კაპეიკისა გამოიმუშავა 665 მან. 39 კაპ. გეგმა შეასრულა 1324 პროცენტით.

ამხ. შ. ნადირაძემ თავისი რეკორდი ოქტომბრის დიდი რევოლუციის 21 წლისთავს მიუძღვნა.

**ი. ნაზარბეგოვი**
**ს. ხანთაძე**

# უკანასკნელი ცნობები

## ჩეხოსლოვაკიის ორი მინისტრის გადადგომა

**პრაღა,** 16 ოქტომბერი (საკდესი). იუსტიციის მინისტრი ფაიერი და უპორტფელო მინისტრი პარკანი გადადგნენ. გადადგომას ისინი ავადმყოფობით ასაბუთებენ. პრემიერ-მინისტრმა გენერალმა სიროვიმ გადადგომა მიიღო. იუსტიციის სამინისტროს შეთავსებით უხელმძღვანელებს მიწათმოქმედების მინისტრი ფაიერაბენდი.

## გადაწყვეტილება ჩეხიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის მეორე ინტერნაციონალიდან გასვლის შესახებ

**პრაღა,** 16 ოქტომბერი (საკდესი). ჩეხიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა გამოიტანა გადაწყვეტილება მეორე ინტერნაციონალის შემადგენლობიდან გამოსვლის შესახებ. ამ გადაწყვეტილების მოტივად მოყვანილია პარტიის სურვილი იყოს სრულიად დამოუკიდებელი თავის საშინაო პოლიტიკაში „ყოველგვარ საერთაშორისო გავლენისაგან". მეორე ინტერნაციონალის ბიუროს წევრები, ჩეხოსლოვაკიის წარმომადგენლები — სტივინი და სოუკუპი, როგორც სჩანს, გამოვლენ მის შემადგენლობიდან. 18 ოქტომბერს შესდგება გაფართოებული კონფერენცია, სადაც განხილულ იქნება ცენტრალური კომიტეტის წინადადება. ცენტრალური კომიტეტი წინადადებას იძლევა აგრეთვე შეცვლილ იქნეს პარტიის სახელწოდება.

იმავე დროს იტყობინებიან პროფკავშირების საერთაშორისო გაერთიანების შემადგენლობიდან (ამსტერდამის ინტერნაციონალიდან) ჩეხოსლოვაკიის რეფორმისტული პროფგაერთიანების გასვლის შესაძლებლობის შესახებ.

## პარიზის რაიონის სახალხო ფრონტის ორგანიზაციების განცხადება

**პარიზი,** 15 ოქტომბერი (საკდესი). გაზეთი „ლუმანიტე" ჰბეჭდავს პარიზის რაიონის სახალხო ფრონტის ორგანიზაციების განცხადებას. განცხადებაში ნათქვამია: „პარიზის რაიონის სახალხო ფრონტის ორგანიზაციები ადასტურებენ, რომ საფრანგეთისა და საერთაშორისო ფაშიზმის რეაქციის შეტევის წინაშე ისინი ახლა უფრო მეტად, ვიდრე ოდესმე, შემჭიდროებულნი და ერთგულნი არიან სახალხო ფრონტის პროგრამისა. მტრულად განწყობილი ძალების არავითარ იერიშს,—არავითარ მანევრს არ შეუძლია დაარღვიოს ერთიანობა და მოსპოს მათი სიფხიზლე პურისა, თავისუფლებისა და მშვიდობიანობისათვის ბრძოლაში".

# თავდაცვა-ავიაქიმის მე-5 სრულიად-საკავშირო ქიმიური შეჯიბრება

## საქ. ალკკ XX წლისთავის შესახვედრად

ლენინურ - სტალინური კომკავშირის 20 წლისთავის აღსანიშნავად სსრ კავშირისა და რსფსრ თავდაცვა-ავიაქიმის ცენტრალური საბჭოს პრეზიდიუმის გადაწყვეტილებით მიმდინარე წლის 15-დან 30 ნოემბრამდე ჩატარდება თავდაცვა-ავიაქიმის მე-5 სრულიად-საკავშირო ქიმიური შეჯიბრება.

სრულიად-საკავშირო შეჯიბრების წინ მიმდინარე წლის 1 ნოემბრამდე ჩატარებულ უნდა იქნას რაიონული ქიმიური შეჯიბრებები. სრულიად-საკავშირო ქიმიურ შეჯიბრებაში დაშვებული იქნებიან თავდაცვა-ავიაქიმის პირველადი ორგანიზაციები, რომლებიც დაიჭერენ პირველ ადგილს რაიონულ ქიმიურ შეჯიბრებაში და 1938 წლის 1 ნოემბრისათვის შეასრულებენ თავიანთ წლიურ დავალებას საჰაერო ქიმიური თავდაცვის I და II საფეხურის ნიშნოსნების მომზადების დარგში. რაიონული და სრულიად-საკავშირო ქიმიური შეჯიბრებების პროგრამაში შედის შემდეგი ორი ნორმატივი:

1. ქარხნის, დაწესებულების, სასწავლებლის და სხვ. მთელი კოლექტივის მუშაობა (ან სასწავლო მეცადინეობა) აირწინაღებით — რაიონულ შეჯიბრებებში ერთი საათის განმავლობაში და საკავშირო შეჯიბრებაში საათნახევრის განმავლობაში;

2. ქარხნის, დაწესებულების, სასწავლებლის და სხვ. მთელი კოლექტივის ლაშქრობა აირწინაღებით — რაიონულ შეჯიბრებებში 5 კილომეტრის მანძილზე და საკავშირო შეჯიბრებაში 10 კილომეტრის მანძილზე.

კოლექტივის მიერ ქიმიური შეჯიბრების ჩატარების ტექნიკური წესების შესრულების ზუსტი აღრიცხვის საწარმოებლად და სრულიად-საკავშირო შეჯიბრებაში მონაწილეობის უფლების განსასაზღვრავად იქმნება რაიონული მსაჯთა კოლეგიები, რომლებშიც შედიან პარტიული, კომკავშირული, პროფკავშირული, თავდაცვა-ავიაქიმის ორგანიზაციების და ადგილობრივი საჰაერო თავდაცვის ორგანოების წარმომადგენლები.

სრულიად - საკავშირო ქიმიურ შეჯიბრებას ატარებენ ადგილებზე ქარხნების, დაწესებულებების, სასწავლებლების და სხვ. კოლექტივები სსრ კავშირის თავდაცვა - ავიაქიმის ცენტრალური საბჭოს ცენტრალური მსაჯთა კოლეგიის წარმომადგენლების მონაწილეობით.

თავდაცვა - ავიაქიმის იმ პირველადი ორგანიზაციების დასაჯილდოვებლად, რომლებიც სრულიად-საკავშირო ქიმიურ შეჯიბრებაში დაიკავებენ პირველ ხუთ ადგილს თვითეული ჯგუფის მიხედვით ცალ-ცალკე, სსრ კავშირის თავდაცვა-ავიაქიმის ცენტრალურმა საბჭომ საჰაერო ქიმიური თავდაცვის მასობრივი მუშაობისათვის გამოჰყო ხუთი ფულადი ჯილდო 1.000-დან 15.000 მანეთამდე. გამოყოფილია აგრეთვე დაჯილდოვების განსაკუთრებული ფონდი 100 ათასი მანეთის რაოდენობით თავდაცვა-ავიაქიმის პირველადი ორგანიზაციების იმ თავმჯდომარეებისა და საჰაერო ქიმიური თავდაცვის აქტივისტების დასაჯილდოვებლად, რომლებიც ქიმიურ შეჯიბრებას საუკეთესოდ ჩაატარებენ.

საქართველოს სსრ თავდაცვა-ავიაქიმის ორგანიზაციების წინაშე დგას უმნიშვნელოვანესი ამოცანა—უზრუნველჰყონ საწარმოების, კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, დაწესებულებების, სასწავლებლების და სხვ. 100-პროცენტიანი მონაწილეობა ქიმიურ შეჯიბრებაში, მიაღწიონ ნორმატივების ყველა პირობის წარმატებით შესრულებას, გამოვიდნენ საუკეთესო მაჩვენებლებით და მოიპოვონ პირველობა სრულიად-საკავშირო ქიმიურ შეჯიბრებაში.

მარტო ის ფაქტი, რომ ქალაქ თბილისში ქიმიური შეჯიბრებისათვის მოსამზადებელი მუშაობა არადამაკმაყოფილებლად არის გაშლილი, მოწმობს, რომ თბილისის საბჭო და ქ. თბილისის თავდაცვა-ავიაქიმის რაიონული საბჭოები არ უწევენ მას ცოცხალ და ოპერატიულ ხელმძღვანელობას.

მიმდინარე წლის 8 ოქტომბერს თავდაცვა -ავიაქიმის თბილისის საბჭოში მოწვეულ საინსტრუქციო თათბირზე თავდაცვა-ავიაქიმის პირველადი ორგანიზაციების საბჭოების 50 გამოძახებული თავმჯდომარიდან გამოცხადდა მხოლოდ 19 კაცი. თათბირს არ დაესწრნენ ქ. თბილისის ისეთი დიდი საწარმოების თავდაცვა-ავიაქიმის პირველადი ორგანიზაციების საბჭოების თავმჯდომარეები, როგორიცაა, მაგალითად: კიროვის სახელობის, 26 კომისრის სახელობის, ავტოსარემონტო, კალინინის სახელობის, კამოს სახელობის, ორჯონიკიძის სახელობის ქარხნები, აბრეშუმსაქსოვი ფაბრიკა, ფეხსაცმლის ახალი ფაბრიკა, № 2 სამკერვალო ფაბრიკა, თამბაქოს ფაბრიკა და სხვ. მათმა ნაწილმა უკანასკნელ დრომდე არც კი იცოდა, რომ უნდა ჩატარდეს ქიმიური შეჯიბრება. თათბირზე არ გამოცხადდნენ აგრეთვე კიროვის სახელობის რაიონის თავდაცვა-ავიაქიმის რაისაბჭოს თავმჯდომარე ამხ. საცკოვი და 26 კომისრის რაიონისა— ამხ. კოლესნიკოვი.

საჭიროა, რათა თავდაცვა-ავიაქიმის რაისაბჭოებმა სწრაფი ტემპებით გაშალონ ქიმიური შეჯიბრებისათვის მოსამზადებელი მუშაობა, ამ მუშაობაში გამოიყენონ თავდაცვა-ავიაქიმის აქტივი.

საქართველოს სსრ თავდაცვა-ავიაქიმის ორგანიზაციებმა უნდა მიაღწიონ იმას, რომ სრულიად-საკავშირო ქიმიურ შეჯიბრებაში პირველობა მოიპოვონ.

**გ. პაპოვიანი**

საქართველოს სსრ თავდაცვა-ავიაქიმის ცენტრალური საბჭოს ინსტრუქტორი.

# აღებულ ვალდებულებათა შესრულებისათვის სუსტად იბრძვიან

როდესაც თბილისის ფანერის ქარხანაში დაამუშავეს საკითხი წინასაოქტომბრო შეჯიბრებისათვის მზადების შესახებ, მუშებმა აიღეს ვალდებულებები ოქტომბრის დიდი სოციალისტური რევოლუციის 21 წლისთავის ღირსეულად შეხვედრისათვის. საამქროებმა ერთმანეთი გამოიწვიეს სოციალისტურ შეჯიბრებაში. გაიშალა ინდივიდუალური შეჯიბრება ცალკეულ სტახანოველებსა და ფაბრიკის სხვა საუკეთესო მუშებს შორის.

მაგრამ აღსანიშნავია, რომ ფაბრიკაში სუსტად არის გაშლილი ბრძოლა ნაკისრ ვალდებულებათა განაღდებისათვის. ქარხნის სამკუთხედს მრავალი „ობიექტური“ მიზეზი მოჰყავს ამ მდგომარეობის გასამართლებლად. მაგრამ თავის მართლება ყოვლად შეუსაბამოა. ფაბრიკაში 20 საუკეთესო სტახანოველია, რომლებიც მოცემულ გეგმებს ყოველთვის გადაჭარბებით ასრულებენ, ისინი მონდომებით იმუშავებენ, რათა გაანაღდონ აღებული ვალდებულებები, ადმინისტრაცია რომ გაუწევდეს ოპერატიულ ხელმძღვანელობას.

# ენგურის ქაღალდი

(„კომუნისტის“ სპეციალური კორესპონდენტისაგან)

ენგურის ცელულოზისა და ქაღალდის კომბინატი ერთერთი მძლავრი საწარმოა საბჭოთა საქართველოს მრეწველობის გიგანტთა შორის. ეს კომბინატი სამუშაოდ იზიდავს სვანეთისა და სამეგრელოს ასობით მშრომელებს.

გაივიძეს საუკუნეთა მანძილზე ხელუხლებლად დატოვებულმა გაუვალმა ტყეებმა, რომლებიც გადაშლილია სვანეთის ხეობებში მდინარე ენგურისა და მისი შენაკადების პირად. ეს არის ენგურის ქაღალდის კომბინატის მდიდარი ბაზა. მდინარე ენგური შებოჭილია ათასგვარი დანადგარებით. ვეებერთელა ხეებს — დიამეტრით 1,2 მეტრამდე, მექანიზებული საშუალებებით ეზიდებიან კომბინატამდე. ამ ხეებისაგან უნდა დამზადდეს უმაღლესი ხარისხის ქაღალდი წელიწადში 11.700 ტონის რაოდენობით.

ენგურის ქაღალდის კომბინატის დანადგართა დიდი უმრავლესობა დამზადებულია საბჭოთა კავშირის ქარხნებში.

ხალხის მტრებმა ცოტა ზიანი კი არ მიაყენეს ამ გიგანტურ მშენებლობას. მთელი რიგი მავნებლური ღონისძიებებით ისინი ცდილობდნენ ძირი გამოეთხარათ ამათუიმ საამქროსათვის, ამათუიმ უბნისათვის. მათ ვერ მიაღწიეს მიზანს. ისინი გამომჟღავნებულ და ლიკვიდირებულ იქნენ, მაგრამ ამით ხომ არ უნდა დაკმაყოფილდეს ადგილობრივი პარტორგანიზაცია, რომელიც დღეს სამოცდაათამდე კომუნისტს ითვლის!

ენგურის ქაღალდის კომბინატის პარტორგანიზაცია საგრძნობლად გაჯანსაღდა და გამოიბრძმედა ხალხის მტრებთან ბრძოლაში. მაგრამ პარტორგანიზაცია ჯერ კიდევ სათანადოდ ვერ იბრძვის მავნებლობის შედეგების უსწრაფესი ლიკვიდაციისათვის. აქ დროულად იყო სიგნალები, რომ მთელ რიგ უბნებზე საძირკვლები მავნებლურად მზადდებოდა, — მიღებული მანქანების ხრახნილები საძირკვლებს არ უდგებოდა. ცუდად და მავნებლურად კეთდებოდა ჰაერმზრავი, მავნებლურად ადგენდნენ მთელ რიგ პროექტებს, აჭიანურებდნენ მუშათა საცხოვრებელი ბინების მშენებლობას. ხელმძღვანელნი დაკავშირებული არ იყვნენ მუშებთან, ხელს უშლიდნენ სტახანოვური მოძრაობის ფართოდ გაშლას. ყველა ზემოხსენებული ფაქტისა და სიგნალის მიხედვით ადგილობრივ პარტორგანიზაციას დროულად არ მიუღია გადამჭრელი ზომები.

მავნებლობის ნაშთების წინააღმდეგ ბრძოლა საგრძნობლად გაძლიერდა მას შემდეგ, რაც საქ. კ. პ. (ბ) ზუგდიდის რაიკომმა გამოიტანა მთელი რიგი დადგენილებანი ენგურის ქაღალდის კომბინატის მშენებლობაზე მავნებლობის შედეგების უსწრაფესი ლიკვიდაციის შესახებ და საქმიანი ხელმძღვანელობა გაუწია კომბინატის პარტორგანიზაციას.

აქ არიან საუკეთესო ადამიანები — სტახანოველები ამხ. ს. ბზიკაძე, ს. პერეკრესტოვი, დ. თოდუა, ქ. ზემლიანოი, ირ. ქვანია, ე. ტიხომიროვა და სხვები, რომელთაც საჭიროა ბოლშევიკურად ვუხელმძღვანელოთ, რათა მათ წარმატებით შეასრულონ დაკისრებული ფრიად სერიოზული ამოცანები.

ამჟამად კომბინატის ყველა საამქრო მზადაა ასამუშავებლად, მაგრამ ელექტროენერგიის მიუღებლობის გამო ქარხნის საქმიანობა ამუშავება შეჩერებულია.

ენგურის ქაღალდის ფაბრიკას ელექტროენერგია უნდა მისცეს ტყვარჩელის თბოელსადგურმა. ამ სადგურის მუშათა და ინჟინერ-ტექნიკოსთა კოლექტივმა სექტემბრის პირველ რიცხვებში გაუგზავნა მიმართვა ენგურის ქაღალდის ფაბრიკის მუშათა და ინჟინერ - ტექნიკოსთა კოლექტივს, რომ ელექტროდენს მისცემენ 15 სექტემბრისათვის. ამ მიმართვას ფართოდ გამოეხმაურენ ენგურის ქაღალდის კომბინატის მუშები და ინჟინერ - ტექნიკოსთა კოლექტივი; ყველა საამქრომ აიღო ვალდებულება, რომ ელექტროენერგიის მიღების დღისათვის მზად ყოფილიყო ყოველი დანადგარი. ეს ვალდებულება ენგურის ქაღალდის ფაბრიკის მუშებმა შეასრულეს, მაგრამ ტყვარჩელიდან ელექტროდენი ჯერ კიდევ არ არის მიღებული.

ტყვარჩელის თბოელექტროსადგურის ხელმძღვანელობამ, მუშებმა და ინჟინერ - ტექნიკოსებმა სასწრაფოდ უნდა გარდაჰქმნან თავიანთი მუშაობა, რაც შეიძლება დაჩქარებით უნდა მისცენ ელექტროდენი ენგურის ქაღალდის კომბინატს, რათა იგი მალე ჩადგეს ორდენოსანი საქართველოს მომქმედ სამრეწველო გიგანტთა შორის.

**შ. ფურცხვანიძე.**

# გეგმის ზევით 719.000 კილოგრამი ჩაის მწვანე ფოთოლი

ქობულეთის რაიონმა წელს უნდა მოკრიფოს და სახელმწიფოს ჩააბაროს 6.681.000 კილოგრამი ჩაის მწვანე ფოთოლი. 9 ოქტომბრისათვის კოლმეურნეობებში უკვე მოკრეფილი იყო 6.576.509 კილოგრამი — წლიური გეგმის 98,5 პროცენტი. რაიონის კოლმეურნეობები ჩაებნენ წინასაოქტომბრო შეჯიბრებაში და აიღეს ვალდებულება წლიური გეგმა შეასრულონ 15 ოქტომბრისათვის და წლის ბოლომდე გეგმის ზევით მოკრიფონ 719.000 კილოგრამი ჩაის ფოთოლი.

მთელი რიგი კოლმეურნეობები აღებულ ვალდებულებებს სასახელოდ ანაღდებენ. რაიონის 43 კოლმეურნეობიდან ჩაის კრეფის წლიური გეგმა 10 ოქტომბრისათვის შესრულებული ჰქონდა 25-ს. ამ რიცხვისათვის სოფ. ხუცუბნის სტალინის სახელობის კოლმეურნეობას წლიური გეგმის ზევით მოკრეფილი ჰქონდა 18.975 კილოგრამი ჩაის მწვანე ფოთოლი, ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობას — 5.484 კილოგრამი, კოსარევის სახელობისას — 9.481, ლენინის სახელობისას — 2.768, კარლ მარქსის სახელობისას — 11.994 კილოგრამი. ანდრეევის სახელობის კოლმეურნეობას, რომლის თავმჯდომარეა ორდენოსანი დურსუნ ნიჟარაძე, 10 ოქტომბრისათვის წლიური გეგმის ზევით მოკრეფილი და ჩაბარებული ჰქონდა 8.085 კილოგრამი ჩაის ფოთოლი.

**ს. ჟურაშვილი.**

# სათესლე მასალის გაწმენდა და შემოწმება არადამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს

მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთ რაიონში თესვის დაწესებული ვადები ამოიწურა, ხოლო ზოგან თავდება კიდეც, მრავალ რაიონში, მაგალითად თელავის, ლაგოდეხის, ყვარლის, ახალქალაქისა და სხვ. სათესლე მასალის გაწმენდა და შემოწმება სავსებით არადამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს. ზოგიერთი რაიმიწგანი და მტს თესლის გაწმენდასა და შემოწმებას უშუალოდ სათესი მუშაობის წინ იწყებს, რითაც ისინი შლიან თესვის ვადებს. მაგალითად, ადიგენის რაიონში, სადაც თესვა 10 სექტემბერს დაიწყო, თესვამდე 3 დღით ადრე, ე. ი. 7 სექტემბერს რაიმიწგანმა ლაბორატორიაში წარადგინა სათესლე მასალის 6 ნიმუში, რომლებიც ანალიზის შედეგად არაკონდიციური აღმოჩნდა.

ყვარლის რაიონში თესვის დაწყებისას სულ შემოწმებული იყო საშემოდგომო ხორბლის მხოლოდ 50 პროცენტი, ამასთანავე შემოწმებული ნაწილის 99 პროცენტი არაკონდიციურად იქნა აღიარებული.

სავსებით არადამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს თესლის გაწმენდა. ცუდად სწმენდენ თესლს ახალქალაქის, ონის, თბილისის, სამტრედიისა და სხვა რაიონები.

ამ მდგომარეობის გამოსასწორებლად და მაღალხარისხოვანი მასალით თესვის უზრუნველსაყოფად ზემდგომი ორგანოების დადგენილებით, ყველა კოლმეურნეობაში უნდა მოეწყოს სადღეღამისო მუშაობა სათესლე მასალის გაწმენდისა და დახარისხებისათვის; ამ საქმეში გამოყენებულ უნდა იქნას ტრიერების, დამხარისხებლებისა და მარცვლის საწმენდი მანქანების მთელი რაოდენობა. მაგრამ ბევრგან ამას არ ანხორციელებენ. (საქდესი).



ენგურის ქაღალდის კომბინატის სტახანოველები ს. ბზიკაძე, ს. პერეკრესტოვი, დ. თოდუა, ქ. თოდრია, ქ. ზემლიანოი, ირ. ქვანია და ე. ტიხომიროვა

ფოტო ი. იმედაძისა

# ფაშიზმის წინააღმდეგ ბრძოლა — მშვიდობიანობისათვის ბრძოლაა

## ნეგრინის სიტყვა

**პარიჟი,** 15 ოქტომბერი (საქდესი). როგორც ჰავასის სააგენტო იუწყება, ესპანეთის მთავრობის მეთაურმა ნეგრინმა ბარსელონაში რადიოთი წარმოსთქვა სიტყვა, რომელშიაც განაცხადა: „რაც უფრო მეტ ხანს გაგრძელდება უცხოეთის ინტერვენცია ესპანეთში, მით უფრო მეტ საფრთხეს წარმოადგენს იგი საყოველთაო მშვიდობიანობისათვის. ახლა უკვე თვით ინტერვენტებიც კი ვერ ჰბედავენ ინტერვენციის ფაქტის უარყოფას. რესპუბლიკური ესპანეთის მთავრობამ გამოაცხადა, რომ იგი არმიიდან გაიწვევს ყველა უცხოელ მოხალისეს და თავისი გულწრფელობის დასამტკიცებლად კონტროლისათვის მიიწვია საერთაშორისო კომისია. შეუძლებელია რესპუბლიკური ესპანეთის ამ ინიციატივას შევადაროთ მორიგი ფარსი ინტერვენტებისა, რომლებიც ცდილობენ ავადმყოფ და დაჭრილ იტალიელთა ევაკუაცია გაასაღონ უცხოეთის ჯარების გაყვანად ესპანეთიდან.

შეეხო რა ესპანეთში შუამავლობის პროექტებს, ნეგრინმა განაცხადა, რომ ლაპარაკიც კი არ შეიძლება „რაიმე შუამავლობაზე თავისუფლებისათვის მებრძოლ ესპანეთსა და დამპყრობლებს შორის. ესპანეთი არასოდეს არ დასთანხმდება კაპიტულაციაზე. ჩვენ უკანასკნელ კაცამდე ვიბრძოლებთ, მაგრამ არ დაუშვებთ ესპანეთის დანაწილებას. როდესაც რესპუბლიკური ესპანეთის მიმართ აღდგენილი იქნება საერთაშორისო უფლება, მაშინ ომი რამდენიმე კვირაში დამთავრდება და მშვიდობიანობა აღდგენილი იქნება“.

# გამოთხოვება ინტერნაციონალური ბრიგადების მებრძოლებთან

**ბარსელონა,** 14 ოქტომბერი (საქდესი). კატალონიის ერთერთ სოფელში მოხდა საზეიმო გამოთხოვება ინტერნაციონალური ბრიგადების მებრძოლებთან, რომელნიც ესპანეთიდან მიემგზავრებიან. მიტინგზე გამოვიდა ამხ. ანდრე მარტი. აღნიშნა რა, რომ ჩეხოსლოვაკიის ბედი გაფრთხილებას წარმოადგენს მთელი მსოფლიოსათვის, ამხ. ანდრე მარტიმ სთქვა, რომ ყველა მებრძოლნი გააკეთებენ ყველაფერს, რაც მათ ძალუძთ, რათა მომავალში დაეხმარონ ესპანეთს დემოკრატიის ინტერესებისა და მშვიდობიანობის გამცემლებთან ბრძოლაში. „ესპანელები კი არ უნდა უმადლოდნენ მოხალისეებს, — განაცხადა მარტიმ, — არამედ მთელი ევროპა უნდა უმადლოდეს ესპანეთს მისი გმირული ბრძოლისა და მშვიდობიანობის საქმის დაცვისათვის“.

# საერთაშორისო კომისიის სხდომა

**პარიჟი,** 15 ოქტომბერი (საქდესი). ესპანის სააგენტო იუწყება, რომ გუშინ პერპინიანში (სამხრეთ-საფრანგეთი) შესდგა საერთაშორისო კომისიის წევრთა სხდომა, რომელიც ერთა ლიგის მიერ არის დანიშნული რესპუბლიკური ესპანეთიდან ინტერნაციონალური ბრიგადების მებრძოლთა გაწვევის კონტროლის გასაწევად.

კომისიის სხდომა მიძღვნილი იყო საარიცხვო ქვეკომისიის წევრთა დანიშვნისა და მოხალისეთა გაგზავნის საკითხისადმი. კომისიამ გადაწყვიტა, 16 ოქტომბერს დილით გაემგზავროს ესპანეთში.

# იტალია განაგრძობს მფრინავების გზავნას ესპანეთში

**პარიჟი,** 15 ოქტომბერი (საქდესი). ესპანის სააგენტო იუწყება, რომ 13 ოქტომბერს იტალიელ მფრინავთა ჯგუფი 39 კაცის შემადგენლობით გადასხმულ იქნა გიბრალტარში იტალიის გემ „კონტე დი სავოიადან“.

იტალიელი მფრინავები გუშინ ლა-ლინეაზე გავლით წავიდნენ სევილიას, სადაც ისინი მიიღებენ დანიშვნას.

# პროცესი ესპანეთის ტროცკისტულ-ფაშისტური ბანდის საქმეზე

**პარიჟი,** 15 ოქტომბერი (საქდესი). ესპანის სააგენტო აქვეყნებს „პოუმის“ ტროცკისტულ - ფაშისტური ბანდის საქმეზე გუშინ ბარსელონაში შემდგარ სასამართლოს მორიგი სხდომის მოკლე ანგარიშს. სხდომაზე გრძელდებოდა ბრალდებულთა დაკითხვა. დაკითხვიდან და სასამართლოს სხდომაზე წაკითხული მასალებიდან გამორკვეულია, რომ ბრალდებულები, „პოუმის“ წევრები თავის ორგანო „ბატალიაში“ დანაშაულებრივად ახმაურებდნენ საიდუმლო ცნობებს რესპუბლიკელთა ჯარის ადგილსამყოფელისა და აგრეთვე რესპუბლიკელთა უფრო სუსტი ფრონტების შესახებ და [illegible] რიგად ცნობას აწვდიდნენ მეამბოხეთა სარდლობას იმის შესახებ, თუ საით უნდა მიიტანონ მათ პირველ რიგში შეტევა. დაკითხვიდან აგრეთვე გამორკვეულია, რომ „პოუმის“ ხელმძღვანელები აშკარად მოუწოდებდნენ ამბოხებისაკენ რესპუბლიკური მთავრობის წინააღმდეგ.

# სახალხო ფრონტის პარიზის კომიტეტის რეზოლუცია

**პარიჟი,** 15 ოქტომბერი (საქდესი). პარიზის რაიონის სახალხო ფრონტის კომიტეტმა მიიღო რეზოლუცია, რომელიც პარიზის მოსახლეობას მოუწოდებს, გააძლიეროს ეფექტური დახმარების გაწევა რესპუბლიკური ესპანეთისათვის. რეზოლუცია მოუწოდებს მშრომელთ, მონაწილეობა მიიღონ დიდ დემონსტრაციაში, რომელიც შესდგება 22 ოქტომბერს იმ მიზნით, რათა განხორციელდეს სახალხო ფრონტის პროგრამა—დიდი საზოგადოებრივი სამუშაოების მოწყობა და მოხუც მშრომელებისათვის პენსიების დანიშვნა.

რეზოლუცია პროტესტს აცხადებს აგრეთვე მშენებელ მუშათა პროფკავშირის ფედერაციის მდივნის ლაბრუსის დაპატიმრების წინააღმდეგ და მოითხოვს მის განთავისუფლებას.

ად. ნუცუბიძე

# საერთაშორისო მიმოხილვა

ოთხი სახელმწიფოს — ინგლისის, საფრანგეთის, იტალიისა და გერმანიის — მიუნხენის 29 სექტემბრის გადაწყვეტილებამ მძიმე ჭრილობა მიაყენა ჩეხოსლოვაკიის ტერიტორიულ მთლიანობას და ნაციონალურ დამოუკიდებლობას.

საფრანგეთისა და ინგლისის დახმარებით, გერმანიამ და პოლონეთმა შესძლეს მოეხდინათ ჩეხოსლოვაკიის უმდიდრესი ოლქების ოკუპაცია და უაღრესად გაერთულებინათ ჩეხოსლოვაკიის შინაპოლიტიკური მდგომარეობა.

ინგლისისა და საფრანგეთის მთავრობებს გულუბრყვილოდ „სჯეროდათ“, რომ აგრესორისადმი დათმობებითა და ხელშეწყობით მიაღწევდნენ ომის საფრთხის თავიდან აცილებას და მშვიდობიანობის შენარჩუნებას. მაგრამ ისინი სასტიკად მოსტყუვდნენ ანგარიშში. ომის საფრთხე ოდნავადაც არ შემცირებულა. პირიქით, ის კიდევ უფრო გაიზარდა.

ამერიკული გაზეთი „ბალტიმორ სენი“ აღნიშნავს: „მიუნხენის კონფერენციას თავიდან კი არ აუცილებია, არამედ მან მხოლოდ გადასდო ომი. ამავე დროს ამ კონფერენციამ უაღრესად გააძლიერა გერმანიის ფაშიზმის აგრესია“. გაბრიელ პერი „ლუმანიტეში“ სწერს: „ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ მუქარა, რომელიც თავს დასტრიალებს მილიონობით ადამიანებს საფრანგეთსა და ევროპაში, დღეს კიდევ უფრო მწვავეა ვიდრე გუშინ იყო“. 4 ოქტომბერს თემთა პალატაში თვით ჩემბერლენიც კი იძულებული იყო ეღიარებინა, რომ „მიუნხენის გადაწყვეტილებები ჯერ კიდევ სრულიადაც არ ნიშნავს ხანგრძლივი მშვიდობიანობის უზრუნველყოფას“.

ჩემბერლენისა და დალადიესათვის თავიდანვე ცხადი უნდა ყოფილიყო, რომ ჰიტლერი, მიუხედავად მისი დაპირებისა, არ დაკმაყოფილდებოდა მხოლოდ სუდეტის ოლქითა და ჩეხოსლოვაკიის სხვა რაიონების გერმანიასთან შეერთებით, ისე როგორც არ დაკმაყოფილდა ის ავსტრიის შეერთებით. მაგრამ თუ მათ მაინც გამოუცხადეს ნდობა ჰიტლერს, დააკმაყოფილეს ჰიტლერის ყველა მოთხოვნა და ფეხქვეშ გასთელეს ჩეხოსლოვაკიის ხალხის ინტერესები, ეს იმიტომ, რომ ჩემბერლენი და დალადიე აშკარად დაადგნენ მშვიდობიანობისათვის მეტად საშიშ პოლიტიკას, აგრესორებთან შეთანხმების გზას, ისინი დადგნენ ფაშიზმის სამსახურში.

30 სექტემბერს ჩემბერლენმა და ჰიტლერმა ხელი მოაწერეს საერთო დეკლარაციას. ამ დეკლარაციის თანახმად ორივე ქვეყნის მთავრობა შეთანხმდა, რომ ისინი არ აღმოჩნდებიან ერთმანეთის მოწინააღმდეგე ბანაკებში. ისინი კისრულობენ „კონსულტაციას“ წამოჭრილი სადავო საკითხების მოსაგვარებლად. მაგრამ ვინ არ იცის, რომ ფაშისტური გერმანიისათვის, როგორც ამას ჯერ კიდევ სამასი წლის წინათ კაპიტალიზმის შესახებ ოლივერ კრომველი ამბობდა, საუკეთესო დიპლომატი არის სამხედრო გემი? ვინ არ იცის, თუ როგორი იქნება ჰიტლერისა და ჩემბერლენის „კონსულტაცია“?

დალადიემ ჩემბერლენისაგან გულთბილი მადლობა მიიღო იმისათვის, რომ მან ლოიალური თანამშრომლობა გაუწია ჩემბერლენს „უკანასკნელი მღელვარე დღეების მანძილზე“, მაგრამ ჩემბერლენს არაფერი უგრძნობინებია დალადიესათვის იმის შესახებ, რომ მისი დამეგობრება ჰიტლერთან ფუჭად ხდის დაპირებას, რომელიც ჩემბერლენმა დალადიეს მისცა 1938 წლის 29 აპრილს. იმხანად საფრანგეთისა და ინგლისის მინისტრთა მოლაპარაკების შემდეგ, რომელიც ლონდონში სწარმოებდა, გამოქვეყნდა ოფიციალური კომუნიკე „ინგლისისა და საფრანგეთის ინტერესთა ერთიანობისა“ და იმის შესახებ, რომ ისინი თანახმა არიან „არსებულ გარემოებებში განაგრძონ თანამშრომლობის საერთო პოლიტიკა საერთო ინტერესების დასაცავად“.

არც დალადიე დგას შორს გერმანიის ფაშისტებისაგან. მან სათანადო ნდობა დაიმსახურა გერმანიის ფაშისტთა შორის. მიუნხენის გარიგებით გათამამებულმა ჰერინგმა განაცხადა, დალადიე ისეთი კაცია, რომელთანაც კიდევ ბევრის გაკეთება შეიძლებაო.

ჰიტლერმა იცოდა, რომ ჩემბერლენი და დალადიე არ წავლენ გერმანიის წინააღმდეგ; ამიტომ ის ფორმალურად დასთანხმდა ჩეხოსლოვაკიის საზღვრების გარანტირებაზე მას შემდეგ, რაც ის შეიერთებდა სუდეტის ოლქსა და სხვა რაიონებს პლებისციტის ჩატარებით. მაგრამ დალადიემ და ჩემბერლენმა არ შეიძლება არ იცოდნენ, რომ გერმანიის ფაშისტებმა დაარღვიეს მიუნხენის გადაწყვეტილება. ისინი იპყრობენ ჩეხოსლოვაკიის იმ რაიონებს, რომლებიც მიუნხენის გადაწყვეტილებით არ ყოფილა გათვალისწინებული, გერმანიისათვის გადასაცემად. ასეთ სისაძაგლეს სჩადის პოლონეთიც. გერმანიის ფაშისტები სრული დარბევით ემუქრებიან ჩეხოსლოვაკიას, სურთ მოსპონ ის როგორც სახელმწიფო და გაიკაფონ გზა ბალკანეთის ქვეყნების დასაპყრობად.

გერმანიის აშკარა ზეგავლენითა და მუქარით გადადგა ბენეში. ამავე დროს ფაშისტური გერმანია ემუქრება სიროვისაც. სლოვაკიამ და იმიერ-კარპატების უკრაინამ ჩეხოსლოვაკიის მთავრობისადმი ულტიმატური მოთხოვნების წაყენებით შეჰქმნეს ავტონომიური მთავრობები, რაც ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის მთლიანობას მეტად ასუსტებს. სლოვაკიის კლერიკალების პარტია (გლინკასი) ახდენს კომპარტიის ლიკვიდაციას, მან აკრძალა კომპარტიის მოქმედება სლოვაკიის ტერიტორიაზე. თავი წამოჰყო რეაქციამ, რომელსაც დღეზორგანიზაცია შეაქვს ჩეხოსლოვაკიის საშინაო პოლიტიკურ და ეკონომიურ ცხოვრებაში. რეაქციონერებმა კურსი აიღეს გერმანიასთან შეერთებისაკენ. სამრეწველო და ფინანსიური კაპიტალის ორგანო „ნაროდნი პოლიტიკა“ თავის მოწინავეში სწერს: „გერმანული გავლენის სფერო იმდენად გაფართოვებული აღმოჩნდა, რომ საჭიროა შეიცვალოს დამოკიდებულება გერმანიისა და იტალიისადმი“.

ფაშისტური გერმანია არ კმაყოფილდება იმ საზიზღარი ავანტიურით, რომელსაც ის ჩეხოსლოვაკიაში სჩადის. ჰიტლერი ემუქრება სხვა ქვეყნებსაც. 9 ოქტომბერს ქ. საარბრიუკენში (საფრანგეთის საზღვარზე) მის მიერ წარმოთქმული სიტყვა აშკარად მიმართული იყო საფრანგეთის წინააღმდეგ. ჰიტლერმა განაცხადა, რომ სამუშაოები საფრანგეთის საზღვარზე ციხე-სიმაგრეების ასაგებად სულ უფრო მზარდი ენერგიით გაგრძელდება და, კერძოდ, გავრცელებული იქნება საარის ოლქისა და აახენის ახალ რაიონებზეო. ამავე დროს ჰიტლერმა ურჩია ინგლისს, თუ როგორი მთავრობა უნდა ჰყავდეს მას, რათა გერმანიას შეეძლოს მასთან მეგობრობა.

ჩემბერლენმა გოდესბერგში ყოფნის დროს აღუთქვა ჰიტლერს ზოგიერთი კოლონიების გადაცემა. ამ საკითხის გადაწყვეტა მან დასავლეთის სახელმწიფოთა შორის საჰაერო პაქტის დადებას დაუკავშირა. ლონდონის კონსერვატიულ წრეებში წინააღმდეგი არ არიან, რომ გერმანიას გადაეცეს ზოგიერთი კოლონია, მაგრამ მათი აზრით ბრიტანეთის იმპერია არ უნდა იყოს ერთადერთი, რომლისაგანაც მოითხოვენ მსხვერპლს; საფრანგეთი, ბელგია, ჰოლანდია და პორტუგალია უნდა მონაწილეობდნენ ამ პრობლემის გადაწყვეტაშიო. ეს ფაქტი ნათლად გვიჩვენებს გერმანიის ფაშისტების თავხედურ ნაბიჯებს და ინგლისის დათმობებს აგრესორის მიმართ. ჩემბერლენის, დალადიეს, მუსოლინისა და ჰიტლერის მომავალ თათბირზე, რომლის მოწვევაც განზრახულია ნოემბერში, კოლონიების საკითხს მნიშვნელოვანი ადგილი დაეთმობა.

O

მიუნხენის თათბირზე ფაშისტებმა ჩეხოსლოვაკიის პრობლემის „გადაწყვეტის“ გარდა სხვა საქმეც გააკეთეს. არის ყოველგვარი საფუძველი ვთქვათ, რომ ოთხთა სახელმწიფოს წარმომადგენლებს წინასწარი არაოფიციალური მოლაპარაკება ჰქონდათ ესპანეთის საკითხის „მოწესრიგების“, აგრეთვე კოლონიების გადანაწილების შესახებ და სხვ. ჩემბერლენი და დალადიე შეთანხმდნენ იმაში, რომ შესაძლებელია ცნობილ იქნას აბისინიის დაპყრობა იტალიის მიერ. მათ მუსოლინისაგან მიიღეს დაპირება, რომ მას სურვილი აქვს შეუდგეს ესპანეთის საკითხის ლიკვიდაციას. როგორც ვიცით, ინგლის-იტალიის 16 აპრილის შეთანხმების ერთერთ პირობას წარმოადგენდა იტალიის „ვოლონტერების“ ევაკუაცია ესპანეთიდან. იტალიის მიერ ამ პირობის შესრულებაზე დამოკიდებული იყო აბისინიის დაპყრობის ცნობა ინგლისის მხრით. დიდი დაბრკოლებანი აბისინიასა და ესპანეთში, აგრეთვე შინაგანი ეკონომიური სიძნელეები ამჟამად აიძულებენ იტალიას დააჩქაროს 16 აპრილის შეთანხმების მოქმედება. ინგლისისა და საფრანგეთის რეაქციული გაზეთების ცნობით, მუსოლინი „დასთანხმდა“, „ჯარების არსებითი“ გამოყვანას ესპანეთიდან. გაზ. „დეილი ექსპრესის“ მიმომხილველის ცნობით, ჰიტლერიც თავის მხრით გაიწვევს ჯარის განსაზღვრულ რაოდენობას.

ეჭვი არ არის, რომ ფაშისტები ინგლისისა და საფრანგეთის მთავრობებთან შეთანხმებით აწყობენ ახალ ყაჩაღურ გარიგებას ესპანეთის ხარჯზე ჩეხოსლოვაკიის ვარიანტის მსგავსად. ამ გარიგების მიზანია რესპუბლიკური ესპანეთის ჩახრჩობა, მისი სრული ბლოკირება, ფრანკოს მეომარ მხარედ გამოცხადება.

მოლაპარაკების ის პირობები, რომლებიც „ესპანეთის საკითხის მოწესრიგებისათვის“ იტალიამ ინგლისს წაუყენა, ითვალისწინებს შემდეგს: 1. იტალია არ აიღებს ხელს ბალეარის კუნძულებზე, რომლებიც იტალიის მფლობელობაში უნდა გადავიდნენ. 2. იტალია მოითხოვს პოლიტიკურ და ეკონომიურ გარანტიებს ესპანეთში. 3. ესპანეთში არ უნდა იქნეს იტალიისადმი მტრულად განწყობილი მთავრობა. 4. იტალიელ ლეგიონერთა „სიმბოლიური“ გაწვევა ესპანეთიდან კომპენსირებულ უნდა იქნას ინგლისის მიერ იტალიისათვის დიდი სესხის მიცემით. 5. მთელი ხმელთაშუა ზღვის პრობლემა მთლიანად განხილულ და გადაჭრილ უნდა იქნას.

არ შეიძლება ვიფიქროთ, რომ ამ პირობების წამოყენებით იტალიას სურს ხელი აიღოს ესპანეთის საქმეებზე. იტალიის მხრით აქ ადგილი აქვს თვალთმაქცურ ფარსს. იტალია „თანახმაა“ გაიყვანოს ჯარების განსაზღვრული რაოდენობა, რომელმაც ესპანეთში დაჰყო თვრამეტ თვეზე მეტი, მაგრამ ეს ჯარები არ არიან ნამდვილი მეომარი, ფრონტის ჯარები. როგორც „ლუმანიტე“ აღნიშნავს, მუსოლინის ესპანეთიდან გაჰყავს ჯარის ის ნაწილები, 10 ათასი კაცის რაოდენობით, რომელნიც იქ გაგზავნილ იყვნენ ამბოხების დასაწყისში და რომელთა გაჩერებაც ახლა ესპანეთში არ შეიძლება. ეს ნაწილები შესდგებიან ან ავადმყოფებისაგან ან დაჭრილებისაგან ანდა სავსებით დემორალიზებული არიან. ჯარისკაცების ამ ნაწილის გამოწვევით მუსოლინის სურს დაარწმუნოს ინგლისისა და საფრანგეთის მთავრობები თავის ერთგულებაში ესპანეთის საკითხების „მოწესრიგებისადმი“.

ამით მას შეუძლია მოითხოვოს ინგლისის მხრივ ყველა იმ ვალდებულების შესრულება, რაც გამომდინარეობს 16 აპრილის შეთანხმებიდან, კერძოდ კი აბისინიის დაპყრობის ცნობა. ინგლისის მიერ ამ ვალდებულების შესრულებით იტალიას დამატებითი შესაძლებლობა მიეცემა კიდევ უფრო გააძლიეროს ინტერვენცია ესპანეთში, ვინაიდან იტალია ხელუხლებლად სტოვებს ესპანეთში ახლად გადაყვანილ ჯარებს, თავის ტექნიკურ ნაწილებს, საომარ საჭურველს, ავიაციას, არტილერიას. იტალია ახლაც განაგრძობს ჯარის ახალი ნაწილების გადაყვანას ესპანეთში. აღნიშნული შეთანხმების ძალაში შესვლის შემდეგ იტალია კიდევ უფრო გააძლიერებს ჯარის ახალი ნაწილების გაგზავნას ესპანეთში იმ დროს, როდესაც რესპუბლიკური ესპანეთიდან უკვე მოხდება უცხოელ მოხალისეთა ევაკუაცია. ეს გარემოება აშკარად შეჰქმნის ძალთა უთანასწორობას და საფრთხეში ჩააყენებს რესპუბლიკურ ესპანეთს. იტალიისა და გერმანიის ეს ბნელი ზრახვები არ შეიძლება არ იცოდნენ ინგლისისა და საფრანგეთის მთავრობებმა, მაგრამ ისინი განზრახ ხუჭავენ თვალს და ფაშისტებს ინტერვენციის გაძლიერებისა და რესპუბლიკელთა ჩახრჩობის საშუალებას აძლევენ.

რესპუბლიკური ესპანეთის ხალხი კარგად აფასებს ფაშისტების ამ მახინაციებს. მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ნეგრინმა კორტესების სესიაზე განაცხადა: „ესპანეთის ხალხი არასოდეს არ დაუშვებს იმას, რომ ესპანეთი დანაწილებულ იქნას გავლენის სფეროებად“. ესპანეთი არც ავსტრიაა და არც ჩეხოსლოვაკია. ესპანეთის ხალხი გმირულად იბრძოლებს ფაშისტებისა და ინტერვენტების წინააღმდეგ, ვიდრე არ განდევნის მათ ესპანეთის ტერიტორიიდან. ესპანეთის ხალხი არ დასთანხმდება არავითარ დროებით ზავზე, რომელსაც ინგლისი და საფრანგეთი ლამობენ თავზე მოახვიონ რესპუბლიკურ ესპანეთს. „ესპანეთს სურს იყოს თავისუფალი და დამოუკიდებელი და იგი მიაღწევს ამას“ (ხოსე დიასი).

მასალები მომხსენებელთათვის

# ლენინურ-სტალინური კომკავშირის XX წლისთავისათვის

მიმდინარე წლის 29 ოქტომბერს საკავშირო ახალგაზრდობის ლენინური კომუნისტური კავშირი უდიდესი ზეიმით აღნიშნავს თავისი არსებობის ოცი წლისთავს. ლენინ-სტალინის პარტიის მტკიცე ხელმძღვანელობით კომკავშირმა ამ ოცი წლის განმავლობაში მეტად შესანიშნავი გზა განვლო. ახალგაზრდობის კომუნისტური კავშირი, რომელიც დაიბადა დიდი ოქტომბრის ქარიშხლიან დღეებში, ოცი წლისა ხდება.

რა მდიდარია და წარმტაცი კომკავშირის განვითარების ისტორია!

ოქტომბრის რევოლუციის სუსხიანი დღეები — ბრძოლა ძალაუფლების შენარჩუნებისათვის, სამოქალაქო ომის პერიოდი — ბრძოლა უცხოეთის ინტერვენციისა და ცარიზმის ყოფილი გენერლების თეთრი ბანდების შესამუსრავად, ბრძოლა სახალხო მეურნეობის აღდგენისათვის, მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის სოციალისტური რეკონსტრუქციისათვის, სტალინური ხუთწლედისათვის... ყველგან, სოციალისტური მშენებლობის ყველა უბანზე და ყველა ეტაპზე ახალგაზრდობის კომუნისტური კავშირი გმირულად იბრძოდა პარტიის ნაცადი ხელმძღვანელობით.

სოციალისტური სამშობლოს გმირული დაცვისათვის ლენინური კომკავშირი 1928 წელს დაჯილდოვებულ იქნა წითელი საბრძოლო დროშის ორდენით, ხოლო 1931 წელს კომკავშირის IX ყრილობის დროს სოციალისტურ მშენებლობაში აქტიური მონაწილეობისათვის — შრომის წითელი დროშის ორდენით.

რა ძირითადი ეტაპები განვლო კომკავშირმა ამ პერიოდის განმავლობაში?

### ლენინურ-სტალინური კომკავშირის დაარსება

კომკავშირის პირველი ყრილობა, რომელმაც ახალგაზრდობის კომუნისტური კავშირის შექმნა **გააფორმა**, მიმდინარეობდა მოსკოვში 1918 წლის 29 ოქტომბრიდან 4 ნოემბრამდე. ამ ყრილობას წინ უძღოდა ახალგაზრდობას შორის ბოლშევიკური პარტიის უდიდესი **საორგანიზაციო და პროპაგანდისტული მუშაობა**, ახალგაზრდობის ჩაბმა აქტიურ რევოლუციურ ბრძოლაში.

რუსეთის ახალგაზრდობის კომუნისტური კავშირის I ყრილობას დაესწრო შეკავშირებული 22.100 ახალგაზრდის 175 დელეგატი. ამ **ყრილობამ პოლიტიკურად და ორგანიზაციულად** გააფორმა ახალგაზრდობის მოძრაობა, შექმნა **რუსეთის ახალგაზრდობის კომუნისტური კავშირი** და მას მიზნად დაუსახა კომუნიზმის იდეების გავრცელება ახალგაზრდობას შორის და მისი ჩაბმა საბჭოთა ქვეყნის აქტიურ მშენებლობაში.

კომკავშირის I ყრილობის მუშაობა მიმდინარეობდა ბოლშევიკური პარტიის ხელმძღვანელობით. ყრილობის დელეგაციას საუბარი ჰქონდა ვ. ი. ლენინთან კავშირის ამოცანების შესახებ.

პარტიის VI ყრილობამ, რომელიც ამხანაგი **სტალინის** უშუალო ხელმძღვანელობით მიმდინარეობდა, პარტიას მიზნად დაუსახა შეიარაღებული აჯანყება, სოციალისტური რევოლუცია. ამ ყრილობამ გამოიტანა გადაწყვეტილება, რომელმაც უდიდესი როლი ითამაშა ლენინურ-სტალინური კომკავშირის შექმნასა და განვითარებაში. ყრილობის რეზოლუციაში ნათქვამია:

„პროლეტარიატის პარტია, თავის მხრით, ანგარიშს აძლევს თავის თავს იმაში, თუ რა უდიდესი მნიშვნელობა აქვს მუშა ახალგაზრდობას მთლიანად მუშათა მოძრაობისათვის.

ყრილობას ამიტომ აუცილებლად მიაჩნია, რომ პარტიულმა ორგანიზაციებმა ადგილებზე უაღრესად სერიოზული ყურადღება მიაქციონ ახალგაზრდობის ორგანიზაციის საქმეს... ამჟამად, როცა მუშათა კლასის ბრძოლა გადადის სოციალიზმისათვის უშუალო ბრძოლის ფაზაში, ყრილობას მომენტის ერთერთ გადაუდებელ ამოცანად მიაჩნია მუშა ახალგაზრდობის კლასობრივი სოციალისტური ორგანიზაციების (შექმნისათვის) ხელისშეწყობა და ავალებს პარტიულ ორგანიზაციებს ამ მუშაობას დაუთმონ ყურადღების შესაძლებელი მაქსიმუმი" („საკ. კ. პ. (ბ) რეზოლუციებში". ნაწ. I, გვ. 268).

პარტიის VI ყრილობის გადაწყვეტილებათა საფუძველზე ახალგაზრდობის კავშირებმა უფრო ფართოდ გაშალეს თავისი მუშაობა. ჩვენს ქვეყანაში რევოლუციური მოძრაობის ზრდასთან ერთად იზრდებოდა მუშათა ახალგაზრდა თაობის აქტივობაც.

**ვ. ი. ლენინმა** 1917 წლის ოქტომბრის შეიარაღებული აჯანყების გეგმის დასახვისას დააყენა ამოცანა:

„გამოიყოს **ყველაზე გამბედავი** ელემენტები (ჩვენი „დამკვრელები" და **მუშა ახალგაზრდობა**, აგრეთვე საუკეთესო მატროსები) პატარა რაზმებად, რათა მათ დაიკავონ ყველა უმნიშვნელოვანესი პუნქტი და მონაწილეობა მიიღონ ყველგან, ყველა მნიშვნელოვან ოპერაციაში..." (ვ. ი. ლენინი. თხზ. კრებ. ტ. XXI, გვ. 320).

მუშა ახალგაზრდობამ ეს ამოცანა ღირსეულად შეასრულა. ოქტომბრის რევოლუციის დროს წითელი გვარდიის რიგები შეივსო ახალგაზრდა პროლეტარებით. ახალგაზრდობა განსაკუთრებული გმირობით იბრძოდა სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებისათვის ბრძოლის ყველა უმნიშვნელოვანეს უბანზე.

### კომკავშირი სამოქალაქო ომის პერიოდში

სამოქალაქო ომის სუსხიანი დღეები, როდესაც ჩვენს ქვეყანას გარს ეხვეოდნენ შინაური და გარეშე მტრები, წარმოადგენდა **ლენინ-სტალინის** პარტიისადმი კომკავშირის უსაზღვრო ერთგულების უმნიშვნელოვანეს გამოცდას.

დაამსხვრია რა ცარიზმის ბორკილები, ოქტომბრის რევოლუციამ ახალგაზრდობას საშუალება მისცა შეექმნა თავისი კავშირი. კომუნისტური კავშირის ეს ახლად ჩასახული უჯრედები აქვე აცხადებდნენ თავიანთ თავს მობილიზებულად და მხნედ მიდიოდნენ ფრონტებზე რევოლუციის მტრების წინააღმდეგ.

ეს ის პერიოდია, როცა რაიონულ კომიტეტებს ან და საოლქო კომიტეტებს კარებზე ჰქონდათ ასეთი წარწერა: **„რაიკომი დაკეტილია. ყველანი ფრონტზე წავიდნენ"**.

1919 წელს მრისხანე დღეებში ჩატარებულ იქნა **კომკავშირელთა პირველი სრულიად-რუსეთის მობილიზაცია აღმოსავლეთის ფრონტისათვის, კოლჩაკის წინააღმდეგ**. სამი ათასმა კომკავშირელმა იარაღი აისხა, რათა საკუთარი მკერდით დაეცვა ოქტომბრის მონაპოვარნი.

**კომკავშირელთა მეორე სრულიად-რუსეთის მობილიზაციამ სამხრეთის ფრონტს** მისცა 10 ათასი კაცი. მესამე მობილიზაციამ — პილსუდსკის წინააღმდეგ — **დასავლეთის ფრონტს** მისცა 3 ათასი კაცი.

სრულიად-რუსეთის სამი მობილიზაციის გარდა, ჩატარებულ იქნა მთელი რიგი **კერძო** მობილიზაციები. კომკავშირის ცალკეული ორგანიზაციები მთლიანად გადიოდნენ ფრონტზე.

სამოქალაქო ომის დამთავრებამდე რამდენიმე ხნით ადრე, 1920 წლის ოქტომბერში, შესდგა რუსეთის ახალგაზრდობის კომუნისტური კავშირის III ყრილობა. I ყრილობიდან III ყრილობამდე კომკავშირი დაახლოვებით 400 ათასი კაცით **გაიზარდა**. ამ ყრილობას უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა ახალგაზრდობის კომუნისტური მოძრაობის შემდგომი განვითარებისათვის. III ყრილობაზე სიტყვით გამოვიდა **ვ. ი. ლენინი**, რომელმაც ჩამოაყალიბა კომკავშირის წინაშე მდგომი მთავარი ამოცანები *).

**ვ. ი. ლენინის** ეს სიტყვა ამჟამადაც გზის მაჩვენებელი ვარსკვლავია ლენინური კომკავშირის მთელს ცხოვრებასა და მუშაობაში.

### ლენინ-სტალინის პარტია — კომკავშირის ხელმძღვანელი და ორგანიზატორი

ახალ ეკონომიურ პოლიტიკაზე ქვეყნის გადასვლასთან დაკავშირებით კომკავშირის წინაშე მთელი სიგრძე-სიგანით წამოიჭრა თავისი რიგების ორგანიზაციული **განმტკიცებისა** და ახალ პირობებში მუშაობისათვის შეგუების საკითხები. პირველ რიგში წამოიჭრა ახალგაზრდობის შრომის, ყოფაცხოვრებისა და სწავლა-განათლების საკითხი.

აი რატომ იყო, რომ კომკავშირის საკითხმა დიდი ადგილი დაიკავა პარტიის XI ყრილობის მუშაობაში, რომელიც მიმდინარეობდა 1922 წლის აპრილში. ამ ყრილობაზე **ლენინმა** პარტიას დაუსახა ამოცანა — **გაეშალა ბრძოლა კაპიტალისტური ელემენტების დაძლევისათვის სახალხო მეურნეობაში, მშრომელ გლეხობასთან მუშათა კლასის კავშირის განმტკიცებისათვის, სოციალისტურ მრეწველობასა და სოფლის მეურნეობას შორის კავშირის მოწყობისათვის.**

რუსეთის ახალგაზრდობის კომუნისტური კავშირის საკითხზე XI ყრილობამ მოგვცა გარკვეული მიზანდასახულობა და პრაქტიკული მითითებანი კავშირის მუშაობის გარდაქმნის შესახებ.

გამხრწნელი მოქმედება წვრილბურჟუაზიული სტიქიისა და კონტრრევოლუციური არალეგალური ჯგუფების ცდები — გავლენა მოეპოვებინათ ახალგაზრდობაში — კომკავშირისაგან დაბეჯითებით მოითხოვდა გადამწყვეტ ბრძოლას მტრულ ელემენტებთან და ენერგიულ კულტურულ, პოლიტიკურ მუშაობას, რომელიც შეგუებული იქნებოდა ახალგაზრდობის მოთხოვნილებებთან.

კომკავშირი, პარტიის XI ყრილობის გადაწყვეტილებებით შეიარაღებული, პარტორგანიზაციების ხელმძღვანელობით წელში გასწორდა, თავის რიგებში ჩაიბა ათეულ ათასობით ახალი წევრები, განამტკიცა თავისი პროლეტარული ბირთვი.

ახალგაზრდობის კომუნისტური კავშირის IV ყრილობა 1922 წლის ოქტომბერში შესდგა. ყრილობის დღის წესრიგში დაისვა საკითხი **ახალგაზრდობის კომუნისტური აღზრდის შესახებ ახალი ეკონომიური პოლიტიკის პირობებში, სოფლად მუშაობის შესახებ და მუშა ახალგაზრდობის სწავლა-განათლების შესახებ.**

კომკავშირის V ყრილობამ საფუძველი ჩაუყარა **ბავშვთა კომუნისტურ მოძრაობას**, ჩამოაყალიბა **ნორჩ პიონერთა ორგანიზაცია**. ამავე ყრილობაზე **კომკავშირმა აიღო შეფობა სამხედრო-საზღვაო ფლოტზე.**

პარტიის XII ყრილობის შემდეგ ახალგაზრდობას შორის მუშაობის საკითხების განსახილველად საკ. კ. პ. (ბ) ც. კ-თან მოწვეულ თათბირზე ამხანაგმა **სტალინმა** მკაფიოდ განსაზღვრა კომკავშირის როლი, როგორც რეზერვისა და ინსტრუმენტისა პარტიის ხელში ახალგაზრდობაზე კომუნისტური გავლენის გასავრცელებლად.

„ახალგაზრდობის კომუნისტური კავშირი, — ამბობდა ამხანაგი **სტალინი**, — რეზერვია, რეზერვი მუშებისა და გლეხებისაგან, საიდანაც პარტია ღებულობს შევსებას. მაგრამ იგი იმავე დროს პარტიის ხელში ინსტრუმენტიცაა, ინსტრუმენტი, რომელიც თავის გავლენას უმორჩილებს ახალგაზრდობის მასებს" (**ი. ბ. სტალინი**, „კომკავშირის შესახებ", გვ. 14. „მოლოდაია გვარდია". 1937 წ.).

*) იხ. ლენინის სიტყვა კომკავშირის III ყრილობაზე. (ვ. ი. ლენინი, ი. ბ. სტალინი — „ახალგაზრდობის შესახებ").

### პარტიის მტრებთან ბრძოლაში გამოიწრთო კომკავშირი

სახალხო მეურნეობის აღდგენისათვის ბრძოლის წლებმა ჩვენს ქვეყანას მნიშვნელოვანი წარმატებები მოუპოვა. გაიზარდა მუშათა და გლეხთა პოლიტიკური აქტივობა. ახალგაზრდობა დიდი ენერგიით ღებულობდა მონაწილეობას სოციალისტურ მშენებლობაში.

მაგრამ ნგრევის შედეგები ჯერ კიდევ საგრძნობი იყო. სამეურნეო სიძნელეთა გამოყენება სურდათ სამგზის საზიზღარ ტროცკისტებს, რომელნიც ცდილობდნენ შეერყიათ პარტიული დისციპლინა და პარტიის შემჭიდროება.

პარტია ბოლშევიკური შეურიგებლობით ებრძოდა კონტრრევოლუციურ ტროცკიზმს და ანადგურებდა მას.

კონტრრევოლუციურ ტროცკიზმთან ბრძოლის პირობებში სულ უფრო მეტ მნიშვნელობას იძენდა ახალგაზრდობის იდეურ-პოლიტიკური აღზრდის, მის მიერ ბოლშევიკური პარტიის გამოცდილებისა და ტრადიციების დაუფლების საკითხები. კომკავშირს უნდა მოეგვარებინა პარტიის ისტორიის, მისი პროგრამის, სტრატეგიისა და ტაქტიკის, მისი საორგანიზაციო პრინციპების ღრმა და სისტემატური შესწავლა. კომკავშირის წინაშე დაისვა ამოცანა — დაეუფლებოდა პარტიისათვის **ლენინის** მიერ დატოვებულ იდეურ მემკვიდრეობას. კომკავშირი ვალდებულია იცოდეს პარტიის შეურიგებელი ბრძოლა ოპორტუნიზმთან, რომლის წინააღმდეგ ბრძოლებში იგი გამოიზარდა და გამოიწრთო.

### კომკავშირი გმირულად ახორციელებს დიდი სტალინის ბრძნულ მითითებებს

კომკავშირის რიგებში 1926 წლისათვის უკვე იყო 1.750 ათასი წევრი. კომკავშირის მე-6 ყრილობიდან მე-7 ყრილობამდე მიღებული იყო მილიონზე მეტი ახალი წევრი. მნიშვნელოვნად გაიზარდა კომკავშირის რიგებში გლეხი ახალგაზრდობის ჩაბმა.

კომკავშირის მე-7 ყრილობის წინ ამხანაგმა **სტალინმა** მთელი რიგი მითითებები მოგვცა ახალგაზრდობის კავშირის მუშაობის შესახებ. უპასუხებდა რა „კომსომოლსკაია პრავდას" რედაქციის მიერ დასმულ კითხვებზე, ამხანაგი **სტალინი** ამბობდა:

„კომკავშირი წარმოადგენს ფორმალურად არაპარტიულ ორგანიზაციას. მაგრამ ამასთანავე ის არის კომუნისტური ორგანიზაცია. ეს იმას ნიშნავს, რომ კომკავშირი, წარმოადგენს რა ფორმალურად მუშებისა და გლეხების არაპარტიულ ორგანიზაციას, ამასთან ერთად უნდა მუშაობდეს ჩვენი პარტიის ხელმძღვანელობით. ჩვენი პარტიისადმი ახალგაზრდობის ნდობის უზრუნველყოფა, კომკავშირში ჩვენი პარტიის ხელმძღვანელობის უზრუნველყოფა — ასეთია ამოცანა. კომკავშირელს უნდა ახსოვდეს, რომ პარტიის ხელმძღვანელობის უზრუნველყოფა არის უმთავრესი და უმნიშვნელოვანესი ამოცანა კომკავშირის მთელ მუშაობაში. კომკავშირელს უნდა ახსოვდეს, რომ ასეთი ხელმძღვანელობის გარეშე კომკავშირს არ შეუძლია შეასრულოს თავისი ძირითადი ამოცანა — აღზარდოს მუშურ-გლეხური ახალგაზრდობა პროლეტარიატის დიქტატურისა და კომუნიზმის სულისკვეთებით" (**ვ. ი. ლენინი, ი. ბ. სტალინი.** „ახალგაზრდობის შესახებ", გვ. 179. პარტგამომცემლობა. 1936 წ.). ამავე პასუხში ამხანაგმა **სტალინმა** მოგვცა უმნიშვნელოვანესი მითითებანი კომკავშირის ინტერნაციონალურ ამოცანებზე. ამხანაგმა **სტალინმა** სთქვა:

„ინტერნაციონალიზმი წარმოადგენს ძირითად იდეას, რომლითაც გამსჭვალულია კომკავშირის მუშაობა. ამაშია მისი ძალა. ამაშია მისი ძლიერება. საჭიროა, რომ ინტერნაციონალიზმის სული მუდამ თავს დასტრიალებდეს კომკავშირს" (**ვ. ი. ლენინი, ი. ბ. სტალინი.** „ახალგაზრდობის შესახებ", გვ. 179. პარტგამომცემლობა. 1937 წ.).

ჩვენი სახელოვანი კომკავშირი წმინდად ასრულებს ამხანაგ **სტალინის** ამ მითითებას, იგი ახალგაზრდობის კომუნისტური ინტერნაციონალის გამძღოლი სექციაა.

### რევოლუციური ახალგაზრდობის ლაშქრობა მეცნიერებისაკენ

საკ. ალკკ მე-8 ყრილობამ, რომელიც 1928 წლის 5-16 მაისს შესდგა, თავის გადაწყვეტილებებში აღნიშნა: სოფლად კომკავშირის ორგანიზაციების ძირითად ამოცანას საკოლმეურნეო მშენებლობაში, სოფლის მეურნეობის სოციალისტურ გარდაქმნაში მათი აქტიური მონაწილეობა შეადგენსო.

კომკავშირის მე-8 ყრილობას დაესწრო 1084 დელეგატი — 1.960 ათასი კაცის წარმომადგენლები. უდიდესია ამ ყრილობის მნიშვნელობა საკ. ალკკ ისტორიაში. ამ ყრილობაზე კომკავშირის ამოცანების შესახებ სიტყვით გამოვიდა ამხანაგი **სტალინი.**

ამ ყრილობაზე მთელი სიგრძე-სიგანით დაისვა საკითხი სოციალისტური მშენებლობის **ახალი კადრების** შექმნის შესახებ. ამხანაგმა **სტალინმა** თავის სიტყვაში მიგვითითა:

„რომ მშენებლობა შესძლო, საჭიროა ცოდნა. საჭიროა მეცნიერების დაუფლება, ხოლო თუ ცოდნა გინდა, საჭიროა ისწავლო. ისწავლო შეუპოვრად, მოთმინებით. ისწავლო ყველასაგან — მტრებისაგანაც, მეგობრებისაგანაც, განსაკუთრებით მტრებისაგან. ისწავლო კბილის კბილზე დაჭერით და არ შეუშინდე, რომ მტრები დაგვცინებენ, დასცინებენ ჩვენს უმეცრებას, ჩვენს ჩამორჩენილობას. ჩვენს წინაშე ციხე-სიმაგრეა. ამ ციხე-სიმაგრეს ჰქვია მეცნიერება ცოდნის მრავალნაირი დარგით. ეს ციხესიმაგრე უნდა ავიღოთ რადაც უნდა დაგვიჯდეს. ეს ციხე-სიმაგრე უნდა აიღოს ახალგაზრდობამ, თუ სურს ახალი ცხოვრების მშენებელი იყოს, თუ სურს ძველი გვარდიის ნამდვილი შემცვლელი გახდეს". (**ვ. ი. ლენინი, ი. ბ. სტალინი.** „ახალგაზრდობის შესახებ", გვ. 202).

შემდეგ, ამხანაგმა **სტალინმა** ხაზგასმით აღნიშნა:

**„დავეუფლოთ მეცნიერებას, გამოვჭედოთ ბოლშევიკ სპეციალისტთა ახალი კადრები ცოდნის ყველა დარგში, ვისწავლოთ, ვისწავლოთ, ვისწავლოთ, უაღრესი შეუპოვრობით** — ასეთია ახლა ამოცანა. **რევოლუციური ახალგაზრდობის ლაშქრობა მეცნიერებისაკენ** — აი რა გვესაჭიროება, ამხანაგებო, ამჟამად" (**ვ. ი. ლენინი, ი. ბ. სტალინი,** „ახალგაზრდობის შესახებ", გვ. 203. პარტგამომცემლობა. 1936 წ.).

მთელი ფრონტით სოციალიზმის გაშლილი შეტევის ეპოქაში კომკავშირი დიდი როლი ითამაშა. ახალგაზრდობა სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციისა და კულაკობის, როგორც კლასის, ლიკვიდაციისათვის მებრძოლთა მოწინავე რიგებში იყო. იმხანად შეიკრიბა კომკავშირის IX ყრილობა (1931 წლის 16—26 იანვარი).

პარტიის ხელმძღვანელობით ლენინურმა კომკავშირმა გააცამტვერა ცდები გამცემლური მემარჯვენე-მემარცხენე ბლოკისა, რომელიც აყენებდა კონტრრევოლუციურ თეზისს პარტიის ხაზის სისწორეში „ეჭვის შეტანის უფლების" შესახებ და კომკავშირს პარტიას უპირისპირებდა.

საკ. ალკკ IX ყრილობამ დიდი ყურადღება დაუთმო სსრ კავშირის თავდაცვის საკითხებს. ყრილობამ აიღო შეფობა სამხედრო-საჰაერო ფლოტზე.

სოციალისტური მშენებლობის ყველა უბანზე კომკავშირი შემდგომ წლებშიაც გვიჩვენებდა გმირობის მკაფიო ნიმუშებს.

### ახალგაზრდობის კომუნისტური აღზრდა — ცენტრალური ამოცანა

1936 წელს კომკავშირის რიგებში უკვე დაახლოებით 4 მილიონი წევრი იყო.

კომკავშირის წინაშე წამოიჭრა ახალი და უფრო რთული ამოცანები — **ახალგაზრდა კადრების აღზრდა.** X ყრილობაზე ამხ. **კოსარევმა** აღნიშნა:

**„კომკავშირის ცენტრალურ ამოცანას ამჟამად წარმოადგენს აღზარდოს კადრები, არა მარტო ერთგულნი საბჭოთა ხელისუფლებისა, არამედ მცოდნენიც, განათლებულნი, თავისი საქმის ტექნიკურად მომზადებული სპეციალისტები, რომელთაც შეეძლებათ შეათავსონ რევოლუციური გაქანება ბოლშევიკურ საქმიანობასთან".** (ა. კოსარევი, საკ. ალკკ ც. კ-ის ანგარიში ლენინური კომკავშირის X სრულიად-საკავშირო ყრილობას, გვ. 41. პარტგამომცემლობა. 1936 წ.).

O

თავის სახელოვან 20 წლისთავს კომკავშირი ეგებება სოციალიზმისათვის, საბჭოთა ახალგაზრდობის კომუნისტური აღზრდისათვის ბრძოლის უდიდესი გამოცდილებით შეიარაღებული. პარტიის დახმარებით კომკავშირმა უდიდესი მუშაობა ჩაატარა თავისი რიგების გასაწმენდად ფაშიზმის ტროცკისტ-ბუხარინელი და ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური აგენტების, ჯაშუშებისა და დივერსანტებისაგან.

ლენინურ-სტალინური კომკავშირის სახელოვანი წლისთავი სასიხარულო დღესასწაულია მთელი ჩვენი საბჭოთა ხალხისათვის. ახალგაზრდობა საბჭოთა ქვეყნის მოსახლეობის მნიშვნელოვან ნაწილს შეადგენს. სსრ კავშირში ითვლება კომკავშირული ასაკის მრავალი მილიონი ვაჟი და ქალი. კომკავშირი — მოწინავე საბჭოთა ახალგაზრდობის ორგანიზაციაა. კომკავშირი ვალდებულია აღზარდოს სოციალიზმის ახალგაზრდა მშენებელთა ეს სახელოვანი არმია.

ჩვენი საბჭოთა ახალგაზრდობა უსაზღვროდ ერთგულია ბოლშევიკური პარტიისა და საყვარელი მეგობრისა და მასწავლებლის ამხანაგ **სტალინისა.** გამარჯვებული სოციალიზმის სტალინურმა კონსტიტუციამ სოციალისტურ სამშობლოს მშრომელ ახალგაზრდობას მიანიჭა შრომის, დასვენების და სწავლა-განათლების უფლება. საბჭოთა ახალგაზრდობას, რომელიც მტრების ყოველგვარი ხრიკებისაგან იცავს თავის სამშობლოს, მუდამ უნდა ახსოვდეს ამხანაგ **სტალინის** მითითებანი ომის საფრთხის შესახებ.

თვითეულ კომკავშირელს უნდა ახსოვდეს საკ. ალკკ წესდება და ანხორციელებდეს მას. ეს წესდება კომკავშირის წევრებს აკისრებს ვალდებულებას „შეისწავლონ სამხედრო საქმე, იყონ დიდი სოციალისტური სამშობლოს უსაზღვროდ ერთგულნი და იყონ მზად შესწირონ მას მთელი თავისი ძალღონე, და თუ საჭირო იქნება, — სიცოცხლეც".

ყველა პარტიული ორგანიზაციის ამოცანაა დახმარება გაუწიონ კომკავშირულ ორგანიზაციებს, რომ 20 წლის იუბილეს დღისათვის მათ კიდევ უფრო მეტ წარმატებებს მიაღწიონ.

# პარტიული ცხოვრება

## ვისწავლოთ დამოუკიდებლად მუშაობა წიგნზე

პარტია თვითეული წევრისაგან მოითხოვს — დაეუფლოს ბოლშევიზმს, დაეუფლოს მარქსისტულ-ლენინურ თეორიას. ამ მიზნის მიღწევა მარტო პარტიულ სწავლებაში „ჩაბმით" როდი შეიძლება. საჭიროა მუშაობა საკუთარ თავზე. „მთავარი ყურადღება უნდა მიექცეს სწორედ ინდივიდუალურ მუშაობას წიგნზე, სახელმძღვანელოზე, მარქსიზმ-ლენინიზმის პირველწყაროებზე" („პრავდა").

საქართველოს კვების მრეწველობის სახალხო კომისარიატის ცალკეულ პასუხისმგებელ მუშაკებთან საუბარმა ცხადჰყო, რომ ზოგიერთი ამხანაგი საკმაოდ არ აფასებს თავისთავზე ინდივიდუალური მუშაობის მნიშვნელობას მარქსისტულ-ლენინური თეორიის დაუფლებისათვის. ამას ხსნიან „დიდი დატვირთვით" ანდა „დროის უქონლობით". მათ ავიწყდებათ, რომ ჩვენში მეტად ბევრი დრო იხარჯება ფუჭად, რაც თავისი შრომის ორგანიზების უნარის უქონლობას უნდა მიეწეროს.

არიან კომუნისტები, რომელთაც დროცა აქვთ და უნარიც, რომ ინდივიდუალურად იმეცადინონ პოლიტიკური დონის ამაღლებისათვის, მაგრამ მაინც ვერ მოუგვარებიათ ეს საქმე.

აი რას მეტყველებენ ფაქტები:

ამხ. მიხ. თოდრაძე კვების მრეწველობის სახ. კომისარიატის პასუხისმგებელი მუშაკია. მას დამთავრებული აქვს ტიმირიაზევის სახელობის აკადემია მოსკოვში. „ჩაბმულია" რა პარტისტორიის შემსწავლელ წრეში, სისტემატურად ესწრება მეცადინეობას და ამით კმაყოფილდება. ლენინის და სტალინის ნაშრომებს კი არ კითხულობს.

— სწორად და გულახდილად რომ გითხრათ, — ამბობს ის, — ძალზე დატვირთული ვარ, დრო ცოტა მრჩება წიგნების წასაკითხად. ღამის პირველ-ორ საათამდე დაწესებულებაში მიხდება ყოფნა. ლენინის და სტალინის ნაშრომები არ წამიკითხავს, გარდა გაზეთებში გამოქვეყნებულ სიტყვებისა და სტატიებისა.

ამხანაგურ საუბარში გამოირკვა, რომ ამხ. თოდრაძე ნაკლებად სარგებლობს აგრეთვე მხატვრული ლიტერატურით. უკანასკნელ სამ თვეში მას არ წაუკითხავს ქართველ და რუს საბჭოთა მწერლების ნაწარმოები. ამხ. თოდრაძეს აქვს პირობები, რომ ყოველდღე ერთ-ორ საათს იმუშაოს თავისი თეორიული დონის ასამაღლებლად. მხოლოდ საჭიროა მონდომება და დაინტერესება.

არიან ამხანაგებიც, რომლებიც გულმოდგინედ ცდილობენ გაიფართოონ კულტურული მომზადების ჰორიზონტი. მაგალითად, პარტიის წევრი, ამხ. ნინო კოჟევნიკოვა საშუალო განათლებითაა. ის „სოიუზზაგოტსნაბის" საქართველოს კანტორის საქმეთა მმართველია. ჩაბმულია პარტისტორიის შემსწავლელ წრეში, სისტემატურად ესწრება მეცადინეობას, კითხულობს ჟურნალ-გაზეთებს. განსაკუთრებით გატაცებულია მხატვრული ლიტერატურით.

კარგად მუშაობს თავისი თეორიული დონის ასამაღლებლად ამხ. ე. ბრეგვაძე (კადრების მომზადების ინსპექტორი და პარტკომის მდივნის მეორე მოადგილე). მას საათობით განაწილებული აქვს მთელი სამუშაო დღე, იცის როდის რა უნდა გააკეთოს. საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის სახელმძღვანელოს მოკლე კურსის ცალკეული თავების მიხედვით აღნიშნული აქვს, ლენინის და სტალინის რა და რა ნაშრომები უნდა წაიკითხოს.

— მართალია, მე ამიერ-კავკასიის კომუნისტური უნივერსიტეტი დავამთავრე, — ამბობს ამხ. ბრეგვაძე, — მაგრამ იქ მიღებული ცოდნით არ ვკმაყოფილდები. კვირაში ორ-სამ დღეს გამოყოფილი მაქვს ორ-ორი საათი მარქსიზმის კლასიკოსთა ნაშრომების წასაკითხად. პარტიის ისტორიის სახელმძღვანელოს გამოსვლასთან დაკავშირებით, ფანქრით ხელში ხელახლა წავიკითხე ლენინის „რა ვაკეთოთ", „ნაბიჯი წინ, ორი უკან", „ორი ტაქტიკა" და სტალინის „ბოლშევიზმის ისტორიის ზოგიერთი საკითხისათვის". ახლა ისე უნდა მოვაწყო საქმე, რომ დღეში ერთ საათს ყოველთვის ვმეცადინეობდე და ვმუშაობდე ლენინის და სტალინის ნაშრომებზე. ცუდია, რომ მხატვრულ ლიტერატურას ვერ ვკითხულობ, არ მომიკიდია ამისათვის ხელი. იმედი მაქვს, ამ ნაკლსაც მალე დავძლევ.

ამხანაგებს არ უნდა დაავიწყდეთ, რომ „თეორიას ვერ დაეუფლები, თუ მას სწავლობ სახელდახელოდ, ნაუცბათევად... საჭიროა, რათა თვითეულმა საბჭოთა ინტელიგენტმა შეიძინოს სისტემატური კითხვის ხალისი. წაკითხვის მოთხოვნილება სისხლსა და ხორცში უნდა გაუჯდეს მას, ყოველდღიურ ჩვეულებად უნდა გადაექცეს ისე, რომ გამოტოვებს რა ერთ-ორ დღეს, იგი გრძნობდეს, რომ დღეს გაუკეთებელი დარჩა მნიშვნელოვანი, გადაუდებელი საქმე" („პრავდა").

არ. კოკილაშვილი.

## ანგარიში და არჩევნები არასაკმაო კრიტიკით ჩატარდა

15 ოქტომბერს, დანიშნულ დროზე — 4½ საათზე, ლითონკონსტრუქციის ქარხნის კომკავშირული კრების წინაშე საანგარიშო მოხსენებით წარსდგა კომიტეტის მდივანი ამხ. ა. გასპაროვი. კომკავშირის წევრები, რომლებიც იბარებდნენ ერთი წლისა და სამი თვის მანძილზე კომკავშირის კომიტეტის მიერ ჩატარებული მუშაობის ანგარიშს, ყურადღებით უსმენდნენ მომხსენებელს.

დაიწყო მოხსენების ირგვლივ კამათი. მოხსენების ნაკლი — არასაკმაოდ გაშლილი კრიტიკა და თვითკრიტიკა, ვერც კამათში გამოსული ამხანაგების უმრავლესობამ გამოასწორა.

პირველი სიტყვა აიღო კომკავშირელმა ბირკაძემ. მან ილაპარაკა ორგანიზაციაში თავდაცვა-ავიაქიმის ორგანიზაციის სუსტ მუშაობაზე, მაგრამ კონკრეტულად არ ულაპარაკნია არც აღნიშნულ და არც სხვა საკითხზე. იგი დაკმაყოფილდა ზოგადი, „საპროგრამო" სიტყვით.

არც მეორე მოკამათის — ამხანაგ კაკულიას გამოსვლა იყო კრიტიკული და თვითკრიტიკული. მან განაცხადა, რომ კომკავშირის კომიტეტის მდივნის მოადგილე ამხ. უჩუმბეგაშვილი სუსტად მუშაობდა, ხოლო რით გამოიხატებოდა ეს სუსტი მუშაობა, — არ აღნიშნა; კომკავშირელთა მოთხოვნის მიუხედავად, აგრეთვე არაფერი სთქვა თავის მუშაობაზე, როგორც პროპაგანდისტმა, ხოლო პოლიტსკოლა რომელსაც ამხ. კაკულია ხელმძღვანელობს, უხეიროდ მუშაობს.

კამათის შემდეგ, რომელიც საქ. ალკკ ც. კ-ის წარმომადგენელი ამხ. დანილევიჩის გამოსვლით დამთავრდა, — კრებამ კომიტეტის მუშაობა დამაკმაყოფილებლად შეაფასა და მიიღო ღონისძიება კომკავშირული მუშაობის შემდგომი გაუმჯობესებისათვის. კომკავშირული ხელმძღვანელი ორგანოების არჩევნების ინსტრუქციის წაკითხვის შემდეგ განსაზღვრეს კომკავშირის კომიტეტში და რაიონული კონფერენციის დელეგატებად ასარჩევ ამხანაგთა რაოდენობა და დაასახელეს კანდიდატები.

კომიტეტის ახალ შემადგენლობაში ფარული (დახურული) კენჭისყრით არჩეულ იქნა ხუთი ამხანაგი, მათ შორის ახლადმიღებულები ამხ. ბარსეგოვი და ს. კლიმენკო. კომკავშირის კომიტეტის მდივნად და საქ. ალკკ სტალინის რაიონული კონფერენციის დელეგატად არჩეულია ამხანაგი ა. გასპარიანი. (საქდესი).

## „კომუნისტის" საკუთარ კორესპონდენტთა თათბირი

13-14 ოქტომბერს რედაქციაში შესდგა „კომუნისტის" საკუთარ კორესპონდენტთა თათბირი, რომელსაც დაესწრო 32 საკ. კორესპონდენტი საქართველოს სხვადასხვა რაიონებიდან.

თათბირმა პირველ საკითხად მოისმინა „კომუნისტის" პასუხისმგებელი რედაქტორის ამხ. ვ. ხატიაშვილის მოხსენება — საკ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის დადგენილება საკუთარ კორესპონდენტთა მუშაობის შესახებ და ჩვენი ამოცანები.

ამავე საკითხზე თავიანთი მუშაობის შესახებ თანამოხსენებით გამოვიდნენ „კომუნისტის" საკ. კორესპონდენტები ამხ. გ. მერკვილაძე (აფხაზეთიდან), კ. დობორჯგინიძე (აჭარა), ე. გვასალია (ქუთაისი) და შ. მაჭავარიანი (თელავიდან).

ამხანაგ ხატიაშვილის მოხსენებისა და საკუთარ კორესპონდენტთა თანამოხსენებების ირგვლივ კამათში გამოვიდნენ ამხ. ამხ. ს. ებრალიძე (ზუგდიდი), ზ. მელიქია (ფოთი), ი. გოგიაშვილი (ზესტაფონი), ბ. ქობალია (ზემო-სვანეთი), გ. ხენგავა (თიანეთი), ლ. ლომთაძე (ლაგოდეხი), ნ. თვალაბეიშვილი (ვანი), თ. კუნჭულია („კომუნისტის" რედაქცია), ვ. დევაძე (რედაქცია) და სხვ.

თათბირმა მეორე საკითხად განიხილა ამხ. პრ. რატიანის მოხსენება „საკუთარ კორესპონდენტთა მუშაობის დებულების" შესახებ.

თათბირმა ძირითადად მოიწონა „დებულება საკუთარ კორესპონდენტთა მუშაობის შესახებ" და მასში საბოლოო ცვლილებათა შეტანა მიანდო რედაქციას.

თათბირის უკანასკნელ სხდომაზე — მუშსოფლკორთა შორის მუშაობის და საკუთარ კორესპონდენტთა ამოცანების შესახებ — მოხსენება გააკეთა „კომუნისტის" მუშსოფლკორთა განყოფილების გამგემ ამხ. არ. კოკილაშვილმა.

ამხ. კოკილაშვილის მოხსენების ირგვლივ კამათში მონაწილეობა მიიღეს ამხ. ამხ. კ. დობორჯგინიძემ (აჭარა), ეგ. გვასალიამ (ქუთაისი), დ. რთველიაშვილმა (თბილისის რაიონი), დ. გაბრიაძემ (ხარაგოული), მ. სირაძემ (რედაქცია), გურჯიძემ (საქ. კ. პ. (ბ) ც. კ.) და სხვ.

თათბირზე განხილულ მოხსენებათა გამო დასახულ იქნა სათანადო ღონისძიებანი.

დასასრულ, ამხ. ხატიაშვილმა შეაჯამა თათბირის მუშაობა და საკუთარ კორესპონდენტთა ყურადღება გაამახვილა ყველა იმ ამოცანებზე, რაც ამჟამად დგას ბოლშევიკური პრესისა და საბჭოთა ჟურნალისტების წინაშე.

## კომკავშირის საანგარიშო-საარჩევნო კრებები

თბილისის კიროვის რაიონში დაიწყო კომკავშირის ხელმძღვანელი ორგანოების ანგარიშგება და არჩევნები. 15 ოქტომბერს კრებები ჩატარდა სამ პირველადს კომკავშირულ ორგანიზაციაში. განსაკუთრებული აქტივობით ჩაიარა კრებებმა მთავარ საგზაო სამმართველოსა და სახბანკის ქალაქის განყოფილებაში.

სახბანკის ქალაქის განყოფილების კომკავშირული ორგანიზაციის საანგარიშო-საარჩევნო კრებაზე კამათში გამოსულმა ამხანაგებმა ვასილევსკაიამ, ფანცულაიამ, ხომერიკმა, ფლორინსკაიამ, ხინტკირიამ, ვართანოვმა და სხვ. აღნიშნეს რომ კომკავშირის კომიტეტი არადამაკმაყოფილებლად სწავლობდა თვითეულ კომკავშირელს, ვერ ამოწმებდა მათს მუშაობას, გარაჟის მუშებში არ სწარმოებს არავითარი პოლიტაღმზრდელობითი მუშაობა. ისინი მოწყვეტილი არიან კომკავშირულ ცხოვრებას, სუსტად არის დაყენებული ფიზკულტურული მუშაობა, ფიზკულტურის წრის ხელმძღვანელს ამხ. ბილუხინას კომიტეტი არ ეხმარებოდა. სუსტად სწარმოებდა მუშაობა ახალმიღებულებს შორის.

ახალმიღებულ ვასილევსკაიას, რომელიც გამოყოფილია პიონერხელმძღვანელად, აგიტატორობაც დაავალეს. ამის გამო რამდენჯერმე ჩაიშალა პიონერთა მეცადინეობა.

სადი კრიტიკითა და თვითკრიტიკით გამოვიდნენ ამხანაგები მთავარი საგზაო სამმართველოს კომკავშირული ორგანიზაციის საანგარიშო-საარჩევნო კრებაზე, რომელზეც მოხსენება გააკეთა კომიტეტის მდივანმა ამხ. გერსამიამ. 17 კომკავშირელიდან კამათში მონაწილეობა მიიღო 11-მა. გამოსული ამხანაგები აკრიტიკებდნენ კომკავშირის კიროვის რაიკომის მუშაკების მოუქნელ ხელმძღვანელობას.

რაიკომის ინსტრუქტორი ამხ. აკოფოვი, იმის ნაცვლად, რომ მივიდეს ორგანიზაციებში და დაეხმაროს პირველადი კომკავშირული ორგანიზაციის ხელმძღვანელებს, მათ რაიკომში იბარებს და ისიც მაშინ, როცა რამე ცნობები დასჭირდება.

კრებებზე კომიტეტების შემადგენლობის არჩევის შემდეგ მიიღეს პრაქტიკული ღონისძიებანი.

ვ. მამალაძე
ალ. გოგოლაძე



თბილისის ქაღალდის ფაბრიკის პარტიული კომიტეტის მდივანი ამხ. ი. ფ. გრიბანოვი (მარცხნივ) „საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსის" შესწავლასთან დაკავშირებულ საკითხებზე ინსტრუქტაჟს უწევს ძირეულ აგიტატორებს (მარცხნიდან) ამხ. ი. ოგანეზოვს, ა. კუპინას, დ. არაქელოვს და გ. მიკირტუმოვს.

ფოტო ზუდემტკისა („სოიუზფოტოს" საქ. განყ.).

# დაძაბული მდგომარეობა უნგრეთ-ჩეხოსლოვაკიის საზღვარზე

## ახალი პროვოკაცია

**პრაღა**, 15 ოქტომბერი (საკდესი). მოლაპარაკების შეწყვეტის შემდეგ უნგრეთის მთავრობამ გადასწყვიტა ზეგავლენა მოახდინოს ჩეხოსლოვაკიაზე. მთელს უნგრეთში და განსაკუთრებით კი ჩეხოსლოვაკიის მოსაზღვრე რაიონებში იმართება ანტიჩეხოსლოვაკური დემონსტრაციები. გუშინ უნგრეთის მთავრობამ გადასწყვიტა, „რაიმე ზომები მიიღოს სახელმწიფოს თავდაცვისუნარიანობის გაძლიერებისათვის". ჩეხოსლოვაკიის საზღვარზე გაგზავნილია სხვადასხვა სახის იარაღის სამხედრო ერთეულები. უნგრეთის ყოფილი პრემიერ-მინისტრი დარანიი გაემგზავრა ბერლინს ინსტრუქციებისათვის. გუშინ ის მიღებულ იქნა რიბენტროპის მიერ, ხოლო დღეს შეხვდა ჰიტლერს. უნგრეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს კაბინეტის უფროსი ჩაკი ინსტრუქციებისათვის გაემგზავრა რომს. ამავე დროს უნგრეთის მთავრობამ გადასწყვიტა, მოახდინოს მთელი რიგი სანაპირო ინციდენტების პროვოკაცია. ამ უკანასკნელი ორი დღის განმავლობაში საზღვარზე შეიარაღებული შეტაკება ხდება. გუშინ ქალაქ ბერეგოვოს აღმოსავლეთით (იმიერკარპატის უკრაინა) უნგრეთის ჯარის ერთმა რაზმმა, 300 კაცის რაოდენობით, რომელიც ტყვიამფრქვევებითა და შაშხანებით იყო შეიარაღებული, გადალახა საზღვარი და ჩეხოსლოვაკიის მთელი რიგი პუნქტები დაიკავა. ბრძოლის შედეგად ორივე მხარეზე არიან მოკლულები და დაჭრილები. უნგრეთის ჯარის ერთეულები გაძევებულ იქნენ ჩეხოსლოვაკიის ტერიტორიიდან. სლოვაკიისა და იმიერკარპატის უკრაინის ავტონომიურმა მთავრობებმა მიიღეს მთელი რიგი ღონისძიებანი სანაპირო რაიონებში უნგრეთის აგენტების მიერ მომზადებული პუტჩის თავიდან ასაცილებლად. დაპატიმრებულია დაახლოებით 200 კაცი.

მდგომარეობა საზღვარზე უაღრესად დაძაბულია. 14 ოქტომბერს, ღამით, მთელი რიგი ახალი შეტაკებები მოხდა. ჩეხოსლოვაკიის არმიის ერთეულებმა კვლავ მოახდინეს უნგრეთის ჯარის მიერ საზღვრის დარღვევის ცდების ლიკვიდაცია. უნგრეთის საზღვარზე გაგზავნილი არიან ჯარის ახალი ერთეულები.

## სლოვაკიის ფაშიზაცია

**პრაღა**, 15 ოქტომბერი (საკდესი). სლოვაკიის ავტონომიურმა მთავრობამ კარმაზინი—ლიდერი ე. წ. „გერმანული პარტიისა", რომელიც წარმოადგენს გერმანული ფაშიზმის აგენტურას სლოვაკიასა და იმიერკარპატის უკრაინაში, დანიშნა „გერმანული უმცირესობის საქმეთა სახელმწიფო მდივნად". მისი პირველი ნაბიჯი ის იყო, რომ მან ნება დართო გაყიდოს სლოვაკიის ტერიტორიაზე გერმანული, იტალიური და პოლონური ფაშისტური წიგნები და გაზეთები.

## იუ ხან-მოუს განცხადება

**შანხაი**, 15 ოქტომბერი (საკდესი). კანტონიდან მიღებული ცნობებით, გუანდუნის პროვინციის ჯარების სარდალმა იუ ხან-მოუმ განაცხადა, რომ პროვინცია კარგად არის მომზადებული თავდაცვისათვის. იაპონელთა შეჭრა სამხრეთ ჩინეთში იმის პირდაპირი შედეგია, რომ მათ მარცხი განიცადეს იანძის ფრონტზე, ამასთან ეს გარემოება მოულოდნელი როდი იყო ჩინეთის ხელისუფალთათვის. ამიტომ გუანდუნის სამხედრო ხელისუფლებამ დროზე მიიღო ზომები პროვინციის თავდაცვის გასაძლიერებლად. განსაკუთრებით გამაგრებულია გუანდუნის პროვინციის სანაპირო ხაზი. არმიისა და მოსახლეობის მჭიდრო თანამშრომლობის შედეგად იაპონელები სერიოზულ წინააღმდეგობას წააწყდებიან. აუცილებელი მსხვერპლის მიუხედავად, ჩინელები გააფთრებით დაიცავენ ტერიტორიის ყოველ მტკაველს.

პრესის ცნობებით, კანტონში სიწყნარე და სრული წესრიგია.

## იაპონიის მუქარა

**ლონდონი**, 14 ოქტომბერი (საკდესი). იაპონიის ჰონკონგელმა კონსულმა ნაკამურამ, ინგლისის გაზეთების გადმოცემით, წერილობითი გაფრთხილება გაუგზავნა უცხოეთის ყველა კონსულს და მოითხოვა, რომ უცხოეთის ყველა მოქალაქემ, რომლებიც ვეიჯოუს რაიონში იმყოფებიან, თავის ბინებზე და კანტორებზე გამოჰკიდონ ნაციონალური ბაირაღები. ნაკამურამ ამავე დროს განაცხადა, რომ იაპონია უარს აცხადებს იკისროს რაიმე პასუხისმგებლობა „ინციდენტებისათვის", რომლებიც შეიძლება წამოიჭრას.

გაზეთ „დეილი ტელეგრაფ ენდ მორნინგ პოსტის" კორესპონდენტი სწერს, რომ იაპონელებმა გადაკვრით აგრძნობინეს ინგლისის ხელისუფალთ, რომ „დროული არ არის" ინგლისის ფლოტის და სახმელეთო ჯარების კომბინირებული მანევრები ჰონკონგის რაიონში, რაც ნოემბრისათვის არის განზრახული. მაგრამ, კორესპონდენტის სიტყვით, ინგლისის ხელისუფალნი განაგრძობენ მზადებას ამ მანევრებისათვის.

## ომისა და ფაშიზმის წინააღმდეგ მებრძოლი საერთაშორისო კომიტეტის სხდომა

**პარიზი**, 15 ოქტომბერი (საკდესი). გუშინ პარიზში პროფესორ ლანჟევენის თავმჯდომარეობით შესდგა ომისა და ფაშიზმის წინააღმდეგ მებრძოლი საერთაშორისო კომიტეტის სხდომა. კომიტეტი იხილავდა ჩეხოსლოვაკიის დემოკრატიისათვის დახმარების აღმოჩენისა და ომის საწინააღმდეგო ყველა დემოკრატიულ და პროლეტარულ ძალთა გაერთიანების ღონისძიებებს იმ მიზნით, რათა ხელი შეუშალონ ოთხი სახელმწიფოს შეთანხმებას, რომელიც მიმართულია რესპუბლიკური ესპანეთის წინააღმდეგ. კომიტეტმა განიხილა აგრეთვე საკითხი მშვიდობიანობის დაცვის საერთაშორისო კონფერენციის მოწვევის შესახებ.

კომიტეტის სხდომას დაესწრო საფრანგეთისა და სხვა ქვეყნების გამოჩენილ საზოგადო და პოლიტიკურ მოღვაწეთა დიდი რაოდენობა.

## გერმანია სთავაზობს ინგლისს საჰაერო პაქტის დადებას

**ლონდონი**, 15 ოქტომბერი (საკდესი). გაზეთ „ივნინგ სტანდარდის" დიპლომატიური მიმომხილველის გადმოცემით, გერმანიამ შესთავაზა ინგლისს საჰაერო პაქტის დადება. რიბენტროპმა, სწერს მიმომხილველი, განუცხადა ჰიტლერს, რომ ორივე მხარის მიერ ინგლის-გერმანიის საზღვაო შეთანხმების დადების დროს მიღებული პრინციპის თანახმად, ინგლისსა და გერმანიას შორის დადებულ უნდა იქნას საჰაერო პაქტი. რიბენტროპის აზრით, ამ პრინციპის საფუძველზე გერმანიას უფლება აქვს მოითხოვოს, რომ გერმანიის საჰაერო ფლოტის ძალები აღემატებოდნენ ინგლისის ძალებს ერთიორად და ერთისამადაც კი, საჰაერო ძალთა თანაფარდობა, რაც გერმანიამ წამოაყენა, მიუღებელია ინგლისისათვის. ამჟამადაც ძალაში რჩება ბოლდუინის განცხადება იმის შესახებ, რომ ინგლისის საჰაერო ძალები ყოველ შემთხვევაში ყველა იმ ქვეყნის საჰაერო ძალების თანაბარი მაინც უნდა იყოს, რომელთა თვითმფრინავებსაც შეუძლიათ მიაღწიონ ინგლისამდე.

## იაპონელთა დიდი ზარალი სამხრეთ-ჩინეთში

**შანხაი**, 15 ოქტომბერი (საკდესი). სამხრეთ-ჩინეთში ჩინეთის ჯარები შეუპოვარ წინააღმდეგობას უწევენ იაპონელებს ვეიჯოუს რაიონში. იაპონელებს დიდი ზარალი მოსდით. გაზეთ „შანხაი ივნინგ პოსტის" ცნობებით, ტამშუის და პინშანის (ვეიჯოუს სამხრეთ-დასავლეთით და სამხრეთ-აღმოსავლეთით) რაიონებში მომხდარი ბრძოლის დროს იაპონელებმა მოკლულთა სახით 6 ათასი კაცი დაჰკარგეს. ბრძოლის ადგილზე მოდიან ჩინელთა მაშველი ძალები.



კურორტი ფსირცხა. ზღვისპირის ტბა. („სოიუზფოტოს" საქ. განყ.).

## საკ. კ. პ. (ბ) ისტორიისადმი მიძღვნილი გამოფენა

კარლ მარქსის სახელობის საქართველოს სახელმწიფო საჯარო ბიბლიოთეკამ იმ მიზნით, რომ უკეთესი მომსახურება გაუწიოს თავის მრავალრიცხოვან მკითხველებს ახლად გამოსული „საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსის" გულდასმით და საფუძვლიანად შესწავლაში, თავისი პერიოდიკის დიდ დარბაზში დაიწყო საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მასალების თემობრივი გამოფენების მოწყობა.

ამჟამად მოწყობილ გამოფენაზე წარმოდგენილია 3 თემა: „ბრძოლა სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის შექმნისათვის რუსეთში" (1883-1901 წლები), „რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის შექმნა და პარტიის შიგნით ბოლშევიკებისა და მენშევიკების ფრაქციების გაჩენა" (1901-1904 წლები) და „მენშევიკები და ბოლშევიკები რუსეთ-იაპონიის ომისა და რუსეთის პირველი რევოლუციის პერიოდში" (1904-1907 წლები).

გამოფენაზე თანმიმდევრობითი წესით წარმოდგენილია არა მარტო საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის ლიტერატურა, არამედ სურათები, სქემები და დიაგრამები, რაც ჰქმნის ნათელ წარმოდგენას ბოლშევიკების პარტიის განვლილ ბრძოლებსა და გამარჯვებებზე.

## გ. ერისთავის საფლავი

სოფ. ქვემო-იკორთის ეკლესიის ეზოში დასაფლავებულია გიორგი ერისთავი. ქართული კულტურის ამ თვალსაჩინო წარმომადგენლის საფლავი სრულიად უყურადღებოდ არის მიტოვებული. არავითარი წარწერა, არავითარი ნიშანი იმის შესახებ, რომ აქ ვინმე ასაფლავია, არა სჩანს. მხოლოდ ადგილობრივმა მოხუცებულებმა იციან საფლავის მდებარეობა. თუჯის დაფა, რომელიც საფლავზე იყო და რომელზედაც ამოკვეთილი იყო გიორგი ერისთავის დაბადებისა და გარდაცვალების თარიღი, გლეხის დ. ბოლათაევის ბოსტანში აგდია და ფუჭდება.

ასეთი უყურადღებობა ყოვლად დაუშვებელია. ამ მდგომარეობის შესახებ თავის დროზე მოთავსდა კორესპონდენცია საქ. კ. პ. (ბ) სამხრეთ-ოსეთის საოლქო კომიტეტის და ცაკის ორგანო „საბჭოთა ოსეთში", მაგრამ მას არც სამხრეთ-ოსეთის ცაკთან არსებული სიძველეთა დაცვის კომიტეტი, არც სტალინირის რაიაღმასკომი და არც საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირი არ გამოხმაურებია.

**ერ. მახათაძე**

## გალაკტიონ ტაბიძის ლექსები რუსულად

„ზარია ვოსტოკას" გამომცემლობამ რუსულ ენაზე გამოუშვა საქართველოს რესპუბლიკის სახალხო პოეტის ორდენოსან გალაკტიონ ტაბიძის „რჩეული ლექსები". კრებულში შევიდა ფართო საზოგადოებისთვის კარგად ცნობილი, პოეტის მიერ თავის მოღვაწეობის პირველ პერიოდში შექმნილი ლექსები: „ლურჯა ცხენები", „მთაწმინდის მთვარე", „მე და ღამე", აგრეთვე საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ დაწერილი ლექსები ციკლიდან — „რევოლუციური საქართველო", „ჩვენ, პოეტები საქართველოსი" და სხვა.

მაღალი დონე ამ ლექსების თარგმანისა, რომელიც შესრულებულია 16 გამოჩენილი მთარგმნელ-პოეტის მიერ (ტიხონოვი, ანტოკოლსკი, გაფრინდაშვილი, პეტრენკო და სხვები), პოპულარული ქართველი პოეტის, გალაკტიონ ტაბიძის შემოქმედებას საბჭოთა კავშირის ფართო მასებისთვის მისაწვდომს ხდის, რასაც აქამდე მხოლოდ ცალკეული ლექსების თარგმანებით იცნობდნენ. წიგნი შეიცავს 12 სასტამბო ფორმას, მასში 71 ლექსია და, ამრიგად, აქამდე გამოსულ ყველა რუსულ გამოცემაზე დიდია. (საქდესი).



ტრანსპორტზე ფართოდ გაიშალა ქალთა მოძრაობა ორთქლმავლის ტარების ტექნიკის დასაუფლებლად.

კომკავშირელი თ. ი. ქათამაძე, რომელმაც თბილისის სატრანსპორტო ინსტიტუტი დაამთავრა, ამჟამად მუშაობს მემანქანის თანაშემწედ თბილისის დეპოში. **სურათზე:** ამხ. ქათამაძე თავის ორთქლმავალთან. ფოტო ი. ბუდეშტსკისა („სოიუზფოტოს" საქ. განყ.).

## მოზარდ მაყურებელთა თეატრი

### 1938—39 წლის სეზონში

თბილისის მოზარდ მაყურებელთა ქართული თეატრის კოლექტივი მიმდინარე წლის სეზონისათვის მზადებას დროულად შეუდგა. შეკეთდა თეატრის შენობა, შეღებილია დარბაზი, გაფართოვებულია თეატრის ფოიე და სხვ. თეატრის კოლექტივი განსაკუთრებული სიხარულით ხვდება საკ. ალკკ 20 წლისთავს, რომლის ღირსეულად აღსანიშნავად მან მოამზადა ორი ახალი დადგმა.

მოზარდ მაყურებელთა თეატრის სეზონი იხსნება 18 ოქტომბერს კ. ბალაბანის პიესით „მწვანე ველი". პიესას სდგამს კომკავშირელი რეჟისორი ამხ. გ. დარისპანაშვილი, მხატვარია დ. თავაძე, კომპოზიტორი — ვ. შავერზაშვილი.

შემდეგი დადგმა იქნება დრამატურგ გ. ნახუცრიშვილის ახალი პიესა „ცეცხლის ხაზზე". მას სდგამს თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი რესპ. დამს. არტისტი ალ. თაყაიშვილი, მხატვარია დ. თავაძე, კომპოზიტორი—ვ. შავერზაშვილი. ეს დადგმაც მიძღვნილი იქნება საკ. ალკკ 20 წლისთავისადმი. პიესა წავა 7 ნოემბერს ოქტომბრის დიდი სოციალისტური რევოლუციის 21 წლისთავის საზეიმო დღეებში.

წელს თეატრის კოლექტივი პირველად სდგამს კლასიკური დრამატურგიიდან მოლიერის „სკაპენის ოინებს". (დადგმა რესპ. დამს. არტისტის ალ. თაყაიშვილისა, მხატვარი — ქ. კვესი). დადგმული იქნება აგრეთვე მიხ. გოგიაშვილის „მეწყერი" (დადგმა რესპ. დამს. არტისტ ბ. გამრეკელისა), ახალგაზრდა დრამატურგ გ. ბერძენიშვილის პიესა — „გმირი ჭაბუკობისას", რომელშიაც ასახულია სახელოვანი ბოლშევიკის ს. ორჯონიკიძის ახალგაზრდობის წლები, და გ. თაქთაქიშვილის „ხალხის რჩეული".

თეატრის შეკვეთით მწერალი მარიკა მიქელაძე მუშაობს საბავშო კომედიაზე.

გასული წლების რეპერტუარიდან განმეორებული იქნება გ. ნახუცრიშვილისა და ბ. გამრეკელის „ლადო კეცხოველი" და „ნაცარქექია", ა. კაჭკაჭიშვილის — „ადელანტე", ლ. შვარცის—„წითელქუდა", გ. ბერძენიშვილის—„აჭარის მთებში", ხ. მთვარაძის და ბ. გამრეკელის — „არსენა".

## „კონკურსი კინოსცენარებზე"

გამოვიდა და იყიდება სსრ კავშირის სახკომსაბჭოსთან არსებული კინემატოგრაფიის საქმეთა კომიტეტის „სახკინოგამომცემლობის" მიერ გამოცემული ბროშურის „კონკურსი კინოსცენარებზე" ქართული თარგმანი.

ბროშურა შეიცავს კინომატოგრაფიის საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარის ამხ. ს. დუკელსკის შესავალ წერილს კინო-სცენარებზე კონკურსის შესახებ, კინო-სცენარზე კონკურსის ორგანიზაციის პირობებს, ნ. კოლინის წერილს — „დამწყები სცენარისტის დასახმარებლად" და სხვ.

ამასთან ერთად ბროშურაში მოთავსებულია სცენარი „ლენინი ოქტომბერში" ორდენოსანი სცენარისტის ა. კაპლერისა და „პოლიუშკო პოლე" ორდენოსანი სცენარისტის ე. პომეშჩიკოვისა.

ბროშურის ქართული გამოცემის რედაქტორია თბილისის კინო-სტუდიის დირექტორი ამხ. ა. გიგოშვილი.

## სოციალისტური ქონების დამტაცებლები

მილიციის სამმართველოს მტაცებლობასა და სპეკულაციასთან ბრძოლის განყოფილებამ დაამთავრა გამოძიება სოციალისტური ქონების დამტაცებელთა საქმეზე, რომლებიც თბილისის ავტოსარემონტო ქარხანაში მოქმედებდნენ. დამტაცებელთა ბანდაში შედიოდნენ ავტოსარემონტო ქარხნის ოპერატორი ვ. ი. კამიშინი, საძარე საამქროს მეკუბნავე ი. რ. როდიონოვი, საკონტროლო სადარაჯოს კონტროლიორი ა. გ. ხვედელიანი და ქარხნის გარაჟის გამგე გ. ვ. გუბა.

ივლისში ვ. კამიშინმა და ი. როდიონოვმა შეადგინეს ფიქტიური მოთხოვნა ქარხნის ცენტრალურ საწყობში წარსადგენად, გააკეთეს ამ მოთხოვნაზე თანამდებობის პირთა ყალბი ხელმოწერა და საწყობიდან მიიღეს 100 მეტრი გრანიტოლი, 185 მეტრი სატომრე ტილო, 100 მეტრი ნანკა (სულ 5.000 მანეთისა), ვითომდა საძარე საამქროს საჭიროებისათვის. ბოროტმოქმედებმა, რომლებიც შეთანხმებული იყვნენ თანამონაწილეებთან—გარაჟის გამგე გ. გუბასთან და საკონტროლო სადარაჯოს კონტროლიორ ა. ხვედელიანთან, სატვირთო ავტომანქანით ქარხნის ტერიტორიიდან გაიტანეს თაღლითობით მიღებული მასალა და ეს საქონელი გაჰყიდეს კერძო ბაზარზე.

გ. გუბას, გარდა ამისა, ბრალად ედება სატვირთო მანქანის საფარის მოპარვა, რომელიც მან გაჰყიდა 1.500 მანეთად და ფული მიითვისა.

დამნაშავეები პატიმრობის ქვეშ იმყოფებიან. მათი საქმე გადაცემული აქვს სასამართლოს. უახლოეს დღეებში ეს საქმე გაირჩევა საჩვენებელი პროცესით თბილისის ავტოსარემონტო ქარხანაში.

## ექიმთა ახალი კადრების გამოშვება

18 ოქტომბერს, საღამოს 8 საათზე, შინსახკომის კლუბში შესდგება თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის საბჭოსა და დირექციის საზეიმო სხდომა ექიმთა ახალი წყების გამოშვებასთან დაკავშირებით.

დასწრება მოსაწვევი ბარათებით.

## წლიური გეგმა სრულდება 7 ნოემბრისათვის

საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის გამომცემლობა „ფედერაციას" მიმდინარე წლის საგამომცემლო გეგმაში შეტანილი ჰქონდა 41 სახელწოდების წიგნი — 340 ფორმა.

ოქტომბრის დიდი რევოლუციის 21 წლისთავთან დაკავშირებით, 7 ნოემბრისათვის გამომცემლობა „ფედერაცია" 1938 წლის საგამომცემლო გეგმას ასრულებს გადაჭარბებით — უშვებს 42 სახელწოდების წიგნს 400 ფორმის რაოდენობით.

## პარტკალენდარი

### ლ. კეცხოველის სახელობის პარტგანათლების სახლში

17 ოქტომბერს:

**საერთაშორისო პოლიტიკის კაბინეტი** — ლექცია თემაზე: „ფაშისტური ყაჩაღობა ევროპის ცენტრში". ლექტორები: ქართულ ენაზე ამხ. ეორეკაშვილი, რუსულზე — ამხ. ანანენკო. დასაწყისი საღ. 8 საათზე.

17 ოქტომბერს, საღამოს 7 საათზე, საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის ორჯონიკიძის რაიკომის პარტკაბინეტში რუსულ და ქართულ ენებზე შესდგება კონსულტაცია „საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსის" მე-2 თავის მიხედვით იმ ამხანაგებისათვის, რომლებიც აწარმოებენ წაკითხვას და ახსნა-განმარტებას უპარტიოთა შორის.

საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის ორჯონიკიძის რაიკომი აცხადებს, რომ საკანდიდატო ბარათი № 0708045, გაცემული ამავე რაიკომის მიერ გრიგოლ ივანეს-ძე ლუდუშაურის სახელზე, დაკარგულია და ჩაითვალოს გაუქმებულად.

## ქვანახშირი და მარგანეცი

15 ოქტომბრისათვის

(ტონობით)

| | გეგმა | შესრულება | %% |
|---|---|---|---|
| ტყიბული | 1012 | 803 | 89 |
| ტყვარჩელი | 704 | 514 | 73 |
| ჭიათურა | — | — | —*) |

*) ჭიათურიდან რედაქციას 15 ოქტომბრის ცნობა არ მიუღია.

პასუხისმგებელი რედაქტორი **ვ. ხატიაშვილი**

პროფ. ნ. ბელჩიკოვი

## ნ. გ. პომიალოვსკი

### გარდაცვალებიდან 75 წლის შესრულების გამო

(17/X-1863 წ. — 17/X-1938 წ.)

გამოჩენილი რუსი მწერალი, სამოციანი წლების სახელოვანი პლეიადის ერთ-ერთი წარმომადგენელი ნიკოლოზ გერასიმეს-ძე პომიალოვსკი დაიბადა 1835 წელს პეტერბურგის გარეუბანში დიაკვნის ღარიბ ოჯახში. რვა წლისა პომიალოვსკი მიაბარეს ალექსანდრე ნეველის სასულიერო სასწავლებელში. ცხოვრობდა იგი სასწავლებლის საერთო საცხოვრებელში—ბურსაში. აქ საშინელი ზნე-ჩვეულება იყო გამეფებული. ნორჩ მოსწავლეებს შეუბრალებლად როზგავდნენ. ყოველდღიურ ველურ ცემა-ტყეპას ემატებოდა ნახევრადმშიერი ცხოვრება და უაზრო დაზეპირება.

უხეში და უვიცი „აღმზრდელები" ცდილობდნენ ეხსნათ მოწაფეები „დასავლეთის თავისუფალი აზროვნობის დამღუპველი იდეებისაგან". მაგრამ ისინი ხშირად საწინააღმდეგო შედეგს აღწევდნენ.

„როდესაც მათთვის (ბურსელებისათვის) დგება იდეათა აღრევის დრო... და იწყება რწმენათა მსხვრევა, ეს ადამიანები, თავისი დიალექტიკის ძალითა და ცხოვრებასა და ბუნებაზე დაკვირვების მეოხებით, ჰგლეჯენ მათი სულის მომცველ წინააღმდეგობათა და ეჭვთა ქსელს, იწყებენ მწერლების, მაგალითად ფეიერბახის, კითხვას, რომლის აკრძალული წიგნიც, რუსულ ენაზე თარგმნილი, მიძღვნილია ბურსელებისადმი. ამის შემდეგ ისინი ხდებიან ღრმა ათეისტები", — სწერდა ნ. გ. პომიალოვსკი თავის „ბურსის ნარკვევში".

პომიალოვსკიმ დახატა საზიზღარი ტიპები პირმოთნეებისა, სულიერო მახინჯებისა, ფარისევლებისა, რომლებსაც ბურსა წარმოშობდა. მან გვიჩვენა ბურსა, როგორც კერა გონებაჩლუნგობისა და ჩამორჩენილობისა, როგორც ბუდე ცრუმორწმუნეობისა.

ამიტომ „ბურსის ნარკვევი" მაშინდელ მკითხველთა თვალში იყო პოლიტიკური პამფლეტი მეფის რუსეთზე.

პომიალოვსკის პირველივე ნარკვევი „ვუკოლი", რომელიც 1859 წ. დაიბეჭდა, მიძღვნილია ბავშვის ხასიათის ჩამოყალიბების საკითხისადმი. მწერალმა გვიჩვენა, დესპოტური აღზრდა როგორ ამახინჯებს და ღუპავს კეთილ და ცნობისმოყვარე ბავშვს. პომიალოვსკის მოთხრობა გამსჭვალულია სოციალურ-პედაგოგიური ჰუმანიზმის იმავე იდეებით, რომლებსაც იცავდა დობროლიუბოვი იმდროინდელი პედაგოგების უმოძრაო რეაქციულ შეხედულებათა წინააღმდეგ ბრძოლაში.

მთელი თავისი ხანმოკლე ლიტერატურული მოღვაწეობა, რომელიც დაახლოვებით 4 წელს გაგრძელდა, პომიალოვსკიმ მიუძღვნა ახალი ადამიანების — „პლებეების" — დემოკრატების, რაზნოჩინცების ზოდის მხატვრულად გამოსახვას.

თავის ნაწარმოებებში, „მეშჩანური ბედნიერება" და „მოლოტოვი" პომიალოვსკიმ გვიჩვენა „პლებეის" — რაზნოჩინეცის ჩამოყალიბების გზა და მისი ბრძოლა ადგილის მოსაპოვებლად ცხოვრებაში. „ბატონ-არისტოკრატებთან" შეტაკებებში ჩამოყალიბდა პომიალოვსკის მიერ დახატული მოლოტოვი და „იპოვნა თავისთვის ადგილი საზოგადოებაში". მართალია, ეს ადგილი აღმოჩნდა ადგილი ობივატელისა, რომელმაც ახალგაზრდობის მისწრაფებანი „მეშჩანურ ბედნიერებას"



შესწირა. მაგრამ საზოგადოებრივ ბრძოლაზე მოლოტოვის ოცნებათა ჩაფუშვას, მის მიერ „სხვა, მაღალ მისწრაფებებზე" უარის თქმას და „ზნეკეთილ ჩიჩიკოვშჩინასთან" შერიგებას, ამ „მეშჩანურ ბედნიერებას" პომიალოვსკი არამც თუ არა სთვლიდა იდეალად, არამედ ამხილებდა კიდეც მას. პომიალოვსკი ამათრახებდა მეშჩანებსა და ობივატელებს, რომლებიც შეეწყობოდნენ ხოლმე ცარიზმის საზიზღარ წესრიგს.

პომიალოვსკის სხვა გმირთა შორის აღვნიშნავთ კიდევ პირქუშ გარეწარს ჩერევანინს, რომელიც არ ურიგდებოდა არც მოლოტოვის ბედნიერების მოპოვების თეორიას, არც ნეგოდიაშჩევის — გაბატონებული კლასების მსახურის კარიერიზმს. ჩერევანინი—დემოკრატიულ განწყობილებათა მატარებელია, მაგრამ მას არ შესწევდა უნარი დამდგარიყო რევოლუციური ბრძოლის გზაზე.

ა. მ. გორკიმ სამართლიანად აღნიშნა, რომ ჩერევანინის მსჯელობებში არ არის ანტიდემოკრატიული ელფერი, რასაც მოკლებული არაა ბაზაროვი, შექმნილი ერთდროულად ლიბერალი მწერლის ი. ს. ტურგენევის მიერ.

საინტერესო არიან პომიალოვსკის ქალის ტიპები — „კოპეია ქალიშვილი" ლენოჩკა ილიჩოვა „მეშჩანურ ბედნიერებაში" და „ახალი ცხოვრებისათვის", თავისი ემანსიპაციისათვის მებრძოლი ქალიშვილი ნადია დოროგოვა „მოლოტოვში". 60-იან წლებში ქალის თავისუფლებისათვის ბრძოლა სწარმოებდა დომოსტროის წესების წინააღმდეგ. ნადია დოროგოვამ, გადაიტანა რა სერიოზული დრამა, დასძლია მშობლების დესპოტიზმი. ეს არის მკაფიო, დადებითი და სიცოცხლის უნარიანი ტიპი ქალთა სახეების გალერეაში, რომლებიც შექმნილია რუსეთის XIX საუკუნის ლიტერატურის მიერ, და იმავე დროს, კრიტიკის სამართლიანი აზრით, ქალთა თანასწორუფლებიანობის იმ იდეათა მხატვრული განხორციელება, რომლებსაც ატარებდა ჩერნიშევსკისა და დობროლიუბოვის „სოვრემენიკი".

პომიალოვსკი 60-იანი წლების რევოლუციური დემოკრატიის ბელადთა იდეური თანამებრძოლი იყო. ჩერნიშევსკისადმი წერილში პომიალოვსკი პირდაპირ აცხადებდა, რომ ის თანაუგრძნობს რევოლუციური დემოკრატიის იდეებს:

„მე თქვენ პატივს გცემთ, უფრო შეტიც, მე თქვენი აღზრდილი ვარ, — „სოვრემენიკის" კითხვით გამოვარკვიე ჩემი მსოფლმხედველობა".

პომიალოვსკი ცდილობდა თავის ნაწარმოებებში ეჩვენებინა ხალხის მასების იმედები და მისწრაფებები: „მომბეზრდა ეს შელამაზებული კაცობრიობა, მინდა გავიცნო ცხოვრების ყველა სახე, მინდა ვნახო ჩვენი საზოგადოებრივი წყლულები, ჩვენი დაჩაგრული, გაჭირვებით დაბეჩავებული ხალხი, რომლის ცქერაც არავის უნდა. მე მეყოფა სულის სიმტკიცე...".

პომიალოვსკი გარდაიცვალა 1863 წლის 17 ოქტომბერს 28 წლისა. მან ვერ მოასწრო ყოველივე იმის განხორციელება ლიტერატურაში, რასაც აპირებდა.

ჩერნიშევსკი, რომელიც, ჩვეულებრივად, თავშეკავებულია ქებაში, სწერდა მის შესახებ: „მე სიყვარულით შევხაროდი ჩვენს ახლანდელ უძლიერეს პროზაიკოსს — პომიალოვსკის. ეს იყო გოგოლისა და ლერმონტოვის ძალის ადამიანი. მისი დაკარგვა — დიდი დანაკარგია რუსეთის პოეზიისათვის, საშინელი, უდიდესი დანაკარგი".

პომიალოვსკიმ სერიოზული გავლენა მოახდინა რუსული ლიტერატურის შემდგომ განვითარებაზე. ა. მ. გორკი დიდად აფასებდა „უნიჭიერეს და მკაცრ რეალისტს", ამბობდა რა, რომ „იგი პირველი გაბედულად ამხედრდა ძველი, თავად-აზნაურული ლიტერატურული ეკლესიის წინააღმდეგ".

ვ. ი. ლენინს არაერთხელ მოჰყავდა ციტატები პომიალოვსკის „ბურსის ნარკვევიდან", იყენებდა რა ბურსელის სახეს წვრილბურჟუაზიული თავაშვებულობის, ანარქიულობის წინააღმდეგ, ობივატელებისა და უვიცების წინააღმდეგ.

მილიონობით საბჭოთა მკითხველებს უყვართ და ისინი აფასებენ გამოჩენილი დემოკრატი-მწერლის საუცხოო რეალისტურ შემოქმედებას.



| თბილისის ზ. ფ. ფალიაშვილის სახ. ოპერისა და ბალეტის ლენინის ორდენოსანი სახ. თეატრი 1938-39 წ. სეზონი | 17/X | 18/X | 20/X |
|---|---|---|---|
| | მუდ. ადგ. ტალ. № 3 როსინი **სევილიელი დალაქი** ოპ. 3 მოქ. | მუდ. ადგ. ტალ. № 4 ბიზე **კარმენი** ოპ. 4 მოქ. | მუდ. ადგ. ტალ. № 5 **აბესალომ და ეთერი** |

დასაწყისი 8 საათზე. აბონემენტების წარმოდგენები დაიწყება 21 ოქტომბრიდან.

**რუსთაველის სახელობის ლენინის ორდენოსანი სახელმწიფო თეატრი**

1938-39 წ. სეზონი

17/X წარმოდგენა 26 **უდანაშაულოდ დამნაშავენი** კრუჩინინა—თამარ ბაქრაძე, შმაგა—დიმიტრი ჭყავია.

18/X წარმოდგენა 27 **უდანაშაულოდ დამნაშავენი** კრუჩინინა—ნუცა ჩხეიძე, შმაგა—აკაკი ვასაძე.

სალაროს საშუალებით 15 ოქტომბრისათვის გაყიდული ბილეთები გამოდგება 17 ოქტომბერს.

დასაწყისი 8 საათზე. სალარო ღიაა დილის 12 საათიდან საღამოს 9 საათამდე.

**მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო თეატრი**

17/X **ფიგაროს ქორწინება**

18/X დილით **ფიგაროს ქორწინება**

18/X საღამოს **შური**

დასაწყისი 8 საათზე. სალარო ღიაა დილის 12 საათიდან საღამოს 9 საათამდე.

**სახცირკი.** ტელ. 3-11-44

დღეს განახლებული მრავალფეროვანი პროგრამა სამ განყოფილებად. **დათვების** ჯგუფის გამოსვლა.

დასაწყისი საღ. 8 ს. 30 წ. სალარო ღიაა დილის 12-დან 2 საათამდე და 5 საათიდან.

გაიხსნა მედიკური ინსტიტუტის, სახუნტის, ინდუსტრიული ინსტიტუტისა და სხვა უმაღლესი სასწავლებლებისათვის

**მოსამზადებელი კურსები**

საღ. 6—10 ს. საბჭოს ქ. № 75, მე-29 სკოლის შენობაში. 21078

**ექიმი მ. ბ. მახნაზაროვი**

ვენერიული და კანის ავადმყოფობანი დაბრუნდა და იღებს ავადმყოფებს დილის 0-დან 12 ს-მდე საღამოს 5 ს-დან 8 ს მდე. მისამართი: კრასნოგორსკის ქ. № 33. სადარბაზო შესასვლელი 19466

**საქართველოს სსრ შინსახკომის მუშურ-გლეხური მილიციის სამმართველო აცხადებს,**

**რომ ა. წ. 20 ოქტომბრიდან 10 დეკემბრამდე საქართველოს სს რესპუბლიკაში ტარდება ავტო-მოტოტრანსპორტისა და რეზინის შინებიანი ტრაქტორების წლიური ტექნიკური შემოწმება.**

5 მანქანაზე მეტის შემოწმება იწარმოებს გარაჟებში, 5-ზე ნაკლებისა—საბურთალოს პუნქტში მუშურ-გლეხური მილიციის სამმართველოს ცნობასახ დივიზიონთან—ყოველდღე, გამოსასვლელი დღეების ჩათვლით, 9-დან 17 საათამდე, საქართველოს სს რესპუბლიკის რაიონებში—სახავტოინსპექტორთა სამყოფელ პუნქტებში.

ტექნიკურ შემოწმებაზე წარმოდგენილი მანქანები უნდა იყოს ტექნიკურად წესიერ მდგომარეობაში, შეღებილი, სატვირთო მანქანებს სამ გვერდზე უნდა ჰქონდეთ წარწერა—სერია და სახელმწიფო სანომერო ნიშანი სტანდარტული ზომისა (სიმაღლე 30 სმ და სიფართე 3 სმ).

ტექნიკურ შემოწმებაზე მანქანების წარმოდგენისას თან უნდა იქონიოთ: 1. მანქანის პასპორტი. 2. სახბანკის საქალაქო განყოფილების ქვითარი თვითეულ მანქანაზე 15 მანეთისა და მოტოციკლზე 10 მანეთის გადახდის შესახებ. 3. ცნობა საუწყებო კუთვნილებისა და მანქანის გარბენის კილომეტრაჟის შესახებ.

ტექნიკურ შემოწმებაზე მანქანების აღნიშნულ ვადაში წარმოუდგენლობის ყველა შემთხვევის შესახებ წერილობით უნდა ეცნობოს სახავტოინსპექციას.

ავტომეურნეობები და ცალკეული მფლობელები, რომლებიც გადააცილებენ ტექნიკური შემოწმების გეგმას ან არ შეასრულებენ ზემოაღნიშნულ მოთხოვნებს, დაჯარიმებული იქნებიან 300 მანეთამდე.

საქართველოს სსრ შინსახკომის მუშურ-გლეხური მილიციის სამმართველოს უფროსის მოადგილე მილიციის კაპიტანი **გეგეჭკორი**.

326 სახავტოინსპექციის უფროსის მოვალ. დრ. აღმსრულებელი **პოლიანსკი**.

**საქენერგოს ენერგოგასაღება**

სსრ კავშირის სახკომსაბჭოს დადგენილების საფუძველზე

**იუწყება,**

რომ ყველა მაღალვოლტიან ელექტროდანადგართა, აგრეთვე 50 კილოვატზე მეტი სიმძლავრის დაბალვოლტიან ელექტროდანადგართა შეერთებაზე **ნებართვის** მისაღებად და საქენერგოს სისტემისაგან 1939 წელს ელექტროენერგიის **მისაღებად**, საწარმოო მომხმარებლებმა და მშენებლობებმა, რომლებსაც პირველად აქვთ განზრახული განახორციელონ 1939 წელს საქენერგოს ქსელთან თავისი ელექტროდანადგარების შეერთება, უნდა **წარმოადგინონ განაცხადი არა უგვიანეს 1938 წლის 1 ნოემბრისა** შემდეგი მისამართით: ქალ. თბილისი, ყოროღანოვის ქ. № 18, მე-2 სართული, ტელეფ. № 3-67-84; **იქვე მიღებულ უნდა იქნას განაცხადის წინ სწარი ფორმა.**

უკვე შეერთებულ მომხმარებლებს განაცხადები 1939 წლისათვის საქენერგოს სისტემით საჭირო სიმძლავრესა და ელექტროენერგიაზე შემოაქვთ აგრეთვე არა უგვიანეს 1938 წლის 1 ნოემბრისა იმავე მისამართით, ენერგომომარაგების მიერ თვითეული საწარმოსათვის გაგზავნილი ფორმის მიხედვით.

აღნიშნული ვადის შემდეგ განაცხადები აღარ მიიღება და ენერგიისა და სიმძლავრის მიღებაზე ნებართვები აღარ გაიცემა.

ზემოთ აღნიშნული კატეგორიის ყველა საწარმოებსა და საწარმოო მომხმარებლებს, რომლებიც შეერთებული არიან საქალაქო საბჭოების ქსელთან და ღებულობენ ელექტროენერგიას არა უშუალოდ საქენერგოს სისტემისაგან, არამედ საქალაქო საბჭოების ქსელის მეშვეობით, განაცხადები შეაქვთ ადგილობრივი საქალაქო საბჭოების ელექტრონაგებობათა სამმართველოებში, ხოლო ასლებს ჰგზავნიან საქენერგოს ენერგოგასაღებაში იმავე ვადებში.

313 **საქენერგოს ენერგოგასაღება.**



მისამართი: რედაქციის — თბილისი, რუსთაველის პროსპ. № 16, გამომცემლობის — რუსთაველის პროსპექტი № 34; ტელეფონები: პასუხისმგებელი მდივნის — 3—08—67, პ.-მგ მდივნის მოადგილისა — 3—06—88, განყოფილებებისა პარტიულის — 3—57—61, სასოფლო-სამეურნეოს — 3—73—40, მშრომელთა წერილების — 3—73—24, პ.-მგ მორიგის — 3—26—67, გამომცემლობის — 3—51—81. სტამბის დირექტორის — 3—27—04 ხელნაწერები ავტორებს არ უბრუნდებათ

ამხ. ს. თოდრიას სახ. სტამბა „კომუნისტი", თბილისი, კამოს ქ., № 68.

მთავლიტის რწმუნებული ბ—270